

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათია ჩხეიძე

**გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები
შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით
დაავადებულ ექსპერიმენტულ
ცხოველებსა და ადამიანებში**

თბილისი

2022

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“

ხელნაწერის უფლებით

ნათია ჩხეიძე

გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ ექსპერიმენტულ ცხოველებსა და ადამიანებში

მედიცინის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გიორგაძე

თბილისი

2022

აბსტრაქტი

შაქრიანი დიაბეტი ტიპი2-ის (შდტ2) სწრაფად მზარდმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ასევე მისი გართულებების რისკის ზრდამ აქტუალური გახადა დაავადების ახალი რისკ ფაქტორების აღმოსაჩენად მთელი რიგი კვლევების ჩატარება. ამ კუთხით ენერგეტიკული ბალანსის მარეგულირებელი ჰორმონები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. გრელინი მიეკუთვნება ორექსიგნულ პოლიპეპტიდს, რომელიც გამომუშავდება კუჭში და იწვევს ზრდის ჰორმონის მასეკრეტირებელი რეცეპტორი გააქტიურებას. ასევე ვარაუდობენ რომ, მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გლუკოზისა და ინსულინის მეტაბოლიზმზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა გრელინსა და გლუკოზის დონეს შორის კორელაციური კავშირის განსაზღვრა როგორც ექსპერიმენტულ ცხოველებში ასევე ადამიანებში. აგრეთვე არამედიკამენტოზური გლუკოზის დონეზე მოქმედი ფაქტორის პოვნა და განსაზღვრა იმისა თუ რა გავლენას ახდენს გლიკემიის ცვლილება გრელინის დონეზე.

ბოლო წლებში მსოფლიოში გაჩნდა ინტერესი ბუნებრივი სუბსტრატების (ტრადიციული მედიცინის) და მათი თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკული კონტექსტის შესწავლისადმი. ასეთი მეთოდები ხასიათდება ნაკლები გვერდითი მოვლენებით და შესაბამისად, ქრონიკული მოხმარება ნაკლებად საზიანოა ადამიანისთვის. ამ კატეგორიას მიეკუთვნება საქართველოში წყალტუბოს მინერალური წყლები. იგი ხასიათდება სტაბილურობით და დროის მიხედვით არ განიცდის ცვლილებას. წყალტუბოს წყლის რადიოაქტიურობა დაახლოებით 37 ბკ/მ³-ია, რაც დასაშვებ ზღვარზე მნიშვნელოვნად დაბალია. სწორედ წყალტუბოს მინერალური წყალი იქნა შერჩეული ჩვენ მიერ, როგორც გლუკოზის ცვლაზე მოქმედი არამედიკამენტოზური ფაქტორი.

კვლევის პირველი ეტაპი მოიცავდა ექსპერიმენტს ვირთაგვებზე, ხოლო მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა გრელინის სეკრეციის თავისებურებების შესწავლას ადამიანებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და კორელაციური კავშირების დადგენას გრელინის დონესა და მნიშვნელოვან მეტაბოლურ ფაქტორებს შორის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ისა და სიმსუქნის დროს.

კვლევის პირველი ეტაპის ექსპერიმენტი ჩატარდა ვისტარის მამრ ვირთაგვებზე. ცხოველები დაიყო ორ ჯგუფად; საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფად. საკონტროლო ჯგუფში ცხოველებს ჰქონდათ ნორმალური წონა. ექსპერიმენტული

ჯგუფიდან ვირთაგვების წონის მიხედვით ცხოველები დაიყო სამ ქვეჯგუფად: ნორმალური წონის ჯგუფი (I ჯგუფი), ჭარბი წონის ჯგუფი (II ჯგუფი) და სიმსუქნის ჯგუფი (III ჯგუფი). გლუკოზის დონე შემოწმდა 4 კვირის შემდეგ სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერად დაბალი დოზებით ინექციის შემდეგ. ყველა ვირთაგვა სისხლში უზმოდ გლუკოზის დონით > 14 მმოლ/ლ-ზე მიჩნეულ იქნა შაქრიანი დიაბეტი ტიპი2-ით დაავადებულად და მათზე გაგრძელდა შემდგომი კვლევები. ყველა ვირთაგვასთან (საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფი), გრელინის დონე შემოწმდა სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერად დაბალი დოზებით ინექციამდე და ინექციის შემდეგ. კვლევით დადასტურდა რომ გრელინის დონე უფრო მაღალი იყო ნორმალური წონის ვირთაგვებში, ვიდრე სიმსუქნით და ჭარბი წონით. ექსპერიმენტულ ჯგუფში, სტრეპტოზოტოცინის ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ- ორჯერ) გრელინის დონე პროპორციულად გაიზარდა სამივე ჯგუფში. ექსპერიმენტულ ჯგუფის ვირთაგვები მოთავსდნენ წყალტუბოს მინერალური წყლის საუნაში, სადაც ჩაუტარდათ რადონის შემცველი წყალტუბოს მინერალური წყლით ინჰალაცია. წყალტუბოს მინერალური წყლის რადონით ინჰალაციის თერაპიის შემდეგ, გრელინის დონის ნორმალიზება დაფიქსირდა ექსპერიმენტულ ქვეჯგუფის ყველა ქვეჯგუფში მიუხედავად განსხვავებული წონისა და თითქმის უტოლდებოდა საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების მაჩვენებლებს. ექსპერიმენტულ ჯგუფში გრელინის დონის ნორმალიზებას თან ახლდა გლიკემიის ნორმალიზება.

ადამიანებზე ჩატარებულ კვლევაში ჩართულ იქნა 30 პაციენტი შაქრიანი დიაბეტი ტიპი2-ით და სიმსუქნით, აგრეთვე 10 მოხალისე საკონტროლო ჯგუფიდან. კვლევის დროს ერთდოულად განისაზღვრა სისხლში პლაზმური გრელინის კონცენტრაცია, ლიპიდური ცვლა, HbA1c-ის დონე. კვლევის შედეგად სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია იქნა ნანახი გრელინის დონესა და სხეულის მასის ინდექსს, HbA1c -ს, HDL -სა და საერთო ქოლესტერინის დონეებს შორის.

ჩატარებული კვლევას აქვს პრაქტიკული ღირებულება, რადგან დადგინდა ენდოგენური გრელინის რაოდენობრივი მაჩვენებლების კორელაცია შდტ2-ის დროს არსებულ მეტაბოლურ დარღვევებთან, რაც საშუალებას იძლევა გრელინი განვიხილოთ, როგორც პერსპექტიული, არაინვაზიური მარკერი შდტ2-ის პროგნოზის შესაფასებლად და მნიშვნელოვან სამიზნედ მკურნალობის პროცესში.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალტუბოს მინერალური წყალში არსებული რადონით ინჰალაციურმა თერაპიამ შდტ2-ით ექსპერიმენტულ ცხოველებში აჩვენა საკმაოდ ძლიერი ანტიჰიპერგლიკემიური ეფექტი და გრელინის დონის ნორმალიზება. შესაბამისად აღნიშნული ბუნებრივი რესური შესაძლოა განხილულ იქნას როგორც დამხმარე საშუალება შდტ2-ს მკურნალობის პროცესში.

Abstract

The increasing prevalence of Type 2 Diabetes Mellitus (T2DM) and the consequent diseases have stimulated an active search for novel risk factors. The hormones regulating the energy balance are of special interest as potential risk factors for metabolic syndrome and Type 2 diabetes. Ghrelin is a peptide hormone from the stomach with growth hormone releasing activity. It is also able to modify glucose and insulin metabolism.

In recent years, there has been world-wide interest in studying natural substrates (traditional medicine) and their modern scientific-practical context. Such methods are characterized by fewer side effects and therefore, chronic consumption is less harmful to humans. The method of treatment of natural water in the Tskaltubo region of Georgia is in this category. Water from Tskaltubo spring is characterized by stability and does not change according to time. Its radioactivity varies about 37 Bq/m³, which is significantly lower than the permissible limit. It has passed baseline trials of experimental models with diabetes mellitus and the effectiveness of the study corresponds to the standards.

Tskaltubo mineral water was selected by us as a non-medicinal factor affecting glucose metabolism. The first phase of the study included an experiment on rats, the second phase was aimed at studying the characteristics of ghrelin secretion in people with type 2 diabetes and establishing correlations between ghrelin levels and important metabolic factors in type 2 diabetes and obesity.

The first phase of the experiments were performed on male Wistar rats. Animals were divided into two groups; control and experimental group. In the control group animals had normal weight. Animals from the experimental group were divided into three subgroups, based on the rats weight: normal weight group (Group I), overweight group (Group II) and obesity group (Group III). Glucose levels were tested 4 weeks after multiple low doses of STZ injection. All rats with fasting blood glucose concentrations greater than 14 mmol/l were considered to be diabetic and were selected for further research. In all rats ghrelin levels were tested before and after multiple low doses of STZ injection.

Ghrelin levels were higher in normal weight rats than in obese and overweight subjects. In the experimental group, after multiple low doses of Streptozotocin ghrelin levels increased proportionately in all three groups. The groups of experimental animals

went through the procedure of inhalation of radon by the Tskaltubo mineral water pool, once daily, during 10 days. In animals of the control groups, inhalation with radon was not used. After radon inhalation therapy with Tskaltubo mineral water, a normalization of the ghrelin levels was observed in experimental group and despite the different body weight, the levels were approximately the same and close to those of the control group. In the experimental group, ghrelin level normalization was accompanied by glycemia normalization.

During the second phase of the study plasma ghrelin concentrations were measured in patients with T2DM and obesity. Subjects were divided into two groups; control and experimental group. In the control group subjects had normal weight without T2DM. Subjects from the experimental group were divided into three subgroups, based on their weight: Group I- normal weight or overweight patients with T2DM; Group II – obesity I degree patients with T2DM, and Group III- obesity II degree patients with T2DM. Plasma Ghrelin concentration, lipid panel, HbA1c level were measured at the same time. A statistically significant correlation was found between ghrelin levels and BMI, HbA1c, HDL and Total Cholesterol levels.

The study has a practical value, as the correlation of endogenous ghrelin levels with metabolic disorders during T2DM was established. This results allows us to consider ghrelin as a promising, non-invasive marker for assessing the prognosis of T2DM and as the important target in the treatment process.

It is also important that the inhalation therapy with radon showed a strong anti-hyperglycemic effect and normalization of ghrelin levels in experimental animals. This result is also important for considering natural sources of Tskhaltubo mineral water as a treatment option in type 2 diabetes and obesity.

სარჩევი

აბსტრაქტი	II
Abstract	IV
ცხრილების ჩამონათვალი.....	VIII
ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	IX
დიაგრამების ჩამონათვალი	X
აბრევიატურების ჩამონათვალი	XI
შესავალი.....	1
თავი I. ნაშრომის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები	1
კვლევის მიზანი	6
კვლევის ამოცანები	6
სამეცნიერო სიახლე	7
პრაქტიკული ღირებულება	8
დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები	8
პუბლიკაციები	9
დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.....	9
თავი II. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	10
2.1. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის აქტუალობა, გავრცელება და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები	10
შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დიაგნოსტიკის კრიტერიუმები	13
შდტ2-ით პაციენტის სრულფასოვანი გამოკვლევა და გართულებების დიაგნოსტიკა/შეფასება.....	16
შდტ2-ის პრევენცია.....	20
ჰიპოგლიკემიის რისკის მართვა	22
მეტაბოლური ქირურგია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მკურნალობაში	23

2.2. გრელინის ფიზიოლოგია და რეგულაცია	24
გრელინის სინთეზი და ექსპრესია	25
პლაზმაში გრელინის დონე.....	26
გრელინის რეცეპტორები.....	27
გრელინის ფიზიოლოგიური ფუნქციები	28
გრელინი და გლუკოზის ჰომეოსტაზი	29
გრელინი და ლიპიდების მეტაბოლიზმი.....	37
გრელინის სეკრეციის რეგულაცია	38
გრელინი და მისი ანტაგონისტები	41
2.3. დაბალი დოზებით რადონოთერაპიის ზეგავლენა გრელინისა და გლუკოზის სეკრეციაზე	42
თავი III. კვლევის მასალა და მეთოდები	44
პროტოკოლები	47
სტატისტიკური ანალიზები.....	47
თავი IV. გრელინის რადონოთერაპიის ცვლილებები სტრუქტოზოტოცინით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში	48
თავი V. დაბალი დოზით რადონოთერაპიის ზეგავლენა გრელინის და გლუკოზის დონეზე სტრუქტოზოტოცინით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში	53
თავი VI. გრელინის რადონოთერაპიის ცვლილებები ადამიანებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და სიმსუქნით	60
შედეგები.....	62
თავი VIII. კვლევის შედეგები და მათი განხილვა	66
თავი VIII. დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები	70
გამოყენებული ლიტერატურა	72

ცხრილების ჩამონათვალი

1. **ცხრილი N1.** შაქრიანი დიაბეტის და პრედიაბეტის დიაგნოზის დასმის კრიტერიუმები – გვ. 13;
2. **ცხრილი N2.** შაქრიანი დიაბეტის მაღალი რისკის ჯგუფების განსაზღვრა – გვ. 14;
3. **ცხრილი N3.** 2022 წლის დიაბეტის მართვის სამედიცინო სტანდარტები – გვ. 17;
4. **ცხრილი N4.** შაქრიანი დიაბეტის თანმხლები დაავადებები – გვ. 18;
5. **ცხრილი N5.** შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ფარმაკოთერაპია – გვ. 21;
6. **ცხრილი N6.** ჰიპოგლიკემიის კლასიფიკაცია – გვ. 22;
7. **ცხრილი N7.** გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სხვადასხვა წონის ნორმოგლიკემიის მქონე ვირთაგვებში და გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სტრუპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში – გვ. 50;
8. **ცხრილი N8.** გლუკოზის დონე ვირთაგვებში სტრუპტოზოტოცინის მრავალჯერადი დაბალი დოზებით ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ - ორჯერ) – გვ. 52;
9. **ცხრილი N9.** რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გრელინის დონეზე (ნგ/მლ) სტრუპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში – გვ. 55;
10. **ცხრილი N10.** რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გლუკოზის დონეზე – გვ. 57.

ილუსტრაციების ჩამონათვალი

1. ილუსტრაცია N1. შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზი – გვ. 3;
2. ილუსტრაცია N2. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ბუნებრივი მიმდინარეობა – გვ. 12.

დიაგრამების ჩამონათვალი

1. **დიაგრამა N1.** გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სტრუქტო-ზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში – გვ. 51;
2. **დიაგრამა N2.** რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გრელინის დონეზე (ნგ/მლ) სტრუქტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში – გვ. 56;
3. **დიაგრამა N3.** გლუკოზის დონის ცვლილება რადონით ინჰალაციამდე და ინალაციიდან 10 დღეში – გვ. 57;
4. **დიაგრამა N4.** კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და BMI-ს შორის – გვ. 62;
5. **დიაგრამა N5.** კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და HbA1c-ის შორის – გვ. 63;
6. **დიაგრამა N6.** კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და საერთო ქოლესტერინის დონის შორის – გვ. 63;
7. **დიაგრამა N7.** კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და HDL დონეს შორის – გვ. 64.

აბრევიატურების ჩამონათვალი

შდტ2 – შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2

BMI (Body mass index) – სხეულის მასის ინდექსი

STZ (streptozotocine) – სტრეპტოზოტოცინი

HbA1c – გლიკოზირებული ჰემოგლობინი

LDL (Low Density Lipoprotein) – დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი

HDL (High Density Lipoprotein) – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი

GLP1 (Glucagon-Like Peptide 1) – გლუკაგონის მსგავსი ზრდის ფაქტორი 1

SGLT2 (Sodium-glucose Cotransporter-2) – ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერი 2

DPP4 (Dipeptidyl peptidase 4) – დიპეპტიდილ პეპტიდაზა 4

GH (Growth Hormone) – ზრდის ჰორმონი

GHS (Growth Hormone Secretagogue) – ზრდის ჰორმონის სეკრეტაგოგი

GHS-R (growth hormone secretagogue receptor) – ზრდის ჰორმონის სეკრეტაგოგის რეცეპტორი

dGHRH (Rat Desacyl Ghrelin) – ვირთაგვის დეაცლილირებული გრელინი

ELISA (enzyme-linked immunoassay) – ფერმენტთან დაკავშირებული იმუნოსორბენტული ანალიზი

GTT (Glucose Tolerance Test) – გლუკოზის ტოლერანტობის ტესტი

IGF-1 (Insulin-like growth factor-1) – ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი 1

GOAT-KO mice (Ghrelin O-acyltransferase knockout mice) – გრელინ ო აცილტრანსფერაზა გათიშული ვირთაგვა

WAT (white Adipose Tissue) – თეთრი ცხიმოვანი ქსოვილი

RM-131 – რელამორელინი

HFD (High Fat Diet) – მაღალცხიმოვანი კვების რეჟიმი

IP (Intraperitoneal Injection) – ინტრაპერიტონეალური ინექცია

CCK (Cholecystokinin) – ქოლცესტოკინინი

PYY – პეპტიდი YY

შესავალი

თავი I.

ნაშრომის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (შდტ2) წარმოადგენს მეტაბოლიზმის დარღვევით მიმდინარე დაავადებების ჯგუფს, რომელისთვისაც დამახასიათებელია ქრონიკული ჰიპერგლიკემია და ხშირად უწოდებდნენ „არაინსულინდამოკიდებულ შაქრიან დიაბეტს“ ან „მოზრდილთა შაქრიან დიაბეტს“. ის შეადგენს შაქრიანი დიაბეტის ყველა შემთხვევის 90-95%-ს. შდტ2 მოიცავს პირებს, რომელთაც აქვთ ინსულინის შეფარდებითი დეფიციტი და პერიფერიული ინსულინრეზისტენტობა.


შდტ2-ის განვითარების სხვადასხვა მიზეზი არსებობს, თუმცა სპეციფიკური ეტიოლოგიური ფაქტორები არ არის ცნობილი. ამ დროს, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ისგან განსხვავებით, ბეტა-უჯრედების სწრაფი აუტოიმუნური დესტრუქცია არ ვლინდება. აღსანიშნავია, რომ (შდტ2 მქონე პაციენტების უმრავლესობას აქვს ჭარბი წონა ან სიმსუქნე. ამასთანავე, მიიჩნევა, რომ ჭარბი წონა თავად იწვევს გარკვეული ხარისხის ინსულინრეზისტენტობას. პაციენტებს, რომელთაც ტრადიციული წონის კრიტერიუმების მიხედვით არ აქვთ ჭარბი წონა ან სიმსუქნე, შესაძლოა ჰქონდეთ სხეულის ცხიმის მომატებული პროცენტულობა, ძირითადად განაწილებული მუცლის არეში.

შდტ2 ხშირად მიმდინარეობს შეუმჩნეველად წლების მანძილზე ჰიპერგლიკემიის ეტაპობრივი მატების გამო, დაავადების ადრეულ სტადიაზე პაციენტმა შესაძლოა ვერ შენიშნოს შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი კლასიკური სიმპტომები. შედეგად, წლების განმავლობაში ჩუმად მიმდინარე დაავადების ფონზე შეიძლება ისე განვითარდეს მიკრო და მაკროსისხლძარღვოვანი გართულებები, რომ პაციენტს შდტ2-ის დიაგნოზის დადგენისას უკვე აღენიშნებოდეს შორს წასული გართულებები, ხშირად შეუქცევადი ფორმით.

შდტ2-ის განვითარების რისკი იზრდება ასაკთან, სიმსუქნესთან, თამბაქოს მოხმარებასთან და ფიზიკური აქტივობის სიმცირესთან ერთად. ის ვითარდება ორივე სქესის პირებში, ვისაც აქვთ დიაგნოსტირებული არტერიული ჰიპერტენზია ან/და დისლიპიდემია. მისი განვითარება ხშირია ქალებში, რომელთაც ანამნეზში აქვთ გესტაციური შაქრიანი დიაბეტი (GDM), ან შდტ2 ხშირად დაკავშირებულია ძლიერ გენეტიკურ წინასწარგანწყობასთან (ოჯახურ ანამნეზში პირველი რიგის ნათესავებში დაავადების არსებობა).

ეტიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, შდტ2-ის დროს განვითარებული ჰიპერგლიკემიის მიზეზები შესაძლოა იყოს, როგორც ინსულინის დაქვეითებული სეკრეცია, ასევე ინსულინისადმი მგრძობელობის დაქვეითების ფონზე სისხლში არსებული გლუკოზის მომატებული დონე. თუმცა აღსანიშნავია, რომ შდტ2-ის პათოგენეზში, გარდა ინსულინის სეკრეციის და „ათვისების“ დარღვევისა, ჩართულია გაზრდილი ლიპოლიზი, გლუკაგონის გაძლიერებული სეკრეცია და ღვიძლისმიერი გლუკოზის ჰიპერპროდუქცია, ნეიროტრანსმიტერების ფუნქციის დარღვევა, თირკმლების მიერ გლუკოზის გაზრდილი რეაბსორბცია, კუნთოვანი ქსოვილის მიერ გლუკოზის ათვისების დაქვეითება და ასევე ინკრეტინების ეფექტის დაქვეითება (DeFronzo R A). იხ. ილუსტრაცია N1.

ილუსტრაცია N1. შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზი



ზემოხსენებული პათოგენეზური მექანიზმების უმეტესობა აღმოჩენილ იქნა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მაგრამ, იმის გამო, რომ ჯერ კიდევ მრავალი საკითხია გამოსაკვლევად და დასაზუსტებელი, შდტ2-ის ახალი პათოლოგიური ჯაჭვების ძიების პროცესი დღემდე ინტენსიურად გრძელდება. ამას ადასტურებს შდტ2-ისადმი მიძღვნილი ნაშრომების სიმრავლე (google scholar-ის მონაცემებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მათი რაოდენობა წელიწადში რამოდენიმე ასეულს აღწევს).

შდტ2-ის მზარდი სტატისტიკა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის მისი კვლევის პროცესს. 2017 წლის მონაცემებით შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 მსოფლიო პოპულაციის მხოლოდ 8.1% აღენიშნებოდა, 2045 წლისთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ეს ციფრი მოსალოდნელია რომ გაიზრდება 9.4%-მდე. აგრეთვე აღსანიშნავია რომ 40.6 % შემთხვევების არ არის დიაგნოსტირებული და 60 წელს ზევით პირებში სიკვდილობის 30.8% შემთხვევევაში მიზეზს წარმოადგენს შდტ2.

შდტ2-ის სხვადასხვა პათოგენური რგოლების აღმოჩენამ მედიცინას ახალი ანტიდიაბეტური კლასების გამოყოფის საშუალება მისცა, რომლებიც უკვე არსებული ანტიდიაბეტური მედიკამენტებისგან განსხვავებით, უფრო ნატიფი მოქმედების მექანიზმითა და ნაკლები ჰიპოგლიკემიური ეფექტით ხასიათდება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ პათოგენური რგოლზე ერთდროულად მოქმედი კომბინაციური ანტიჰიპერგლიკემიური ფარმაკოთერაპია გლიკემიის უფრო ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა, ნაკლები ჰიპოგლიკემიის რისკის ფონზე.

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 -ის პათოგენეზში ერთ-ერთ ახალ სამიზნეს წარმოადგენს გრელინის მოლეკულა, რომელიც 1999 წელს გამოყვეს ვირთაგვის კუჭიდან და მოახდინეს მისი რეცეპტორის იდენტიფიცირება.

სისხლში მოცირკულირე გრელინის დაახლოებით 60-70% წარმოიქმნება კუჭში, დანარჩენი რაოდენობის უდიდიდესი ნაწილი წვრილ ნაწლავებში, ხოლო მცირე ნაწილი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიღმა – ჰიპოთალამუსში, ჰიპოფიზში, ფილტვებში, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში, თირკმელებში, ძვლებში, სათესლე ჯირკვლებში, პანკრეასის კუნძულების უჯრედებში. ეს განსაკუთრებით საინტერესოა დიაბეტის პათოგენეზში გრელინის პოტენციური როლის თვალსაზრისით. გრელინის სეკრეცია ასევე დადასტურებულია პლაცენტაშიც.

გრელინი არის ორექსიგენული პეპტიდი, ასტიმულირებს მადას და იწვევს ზრდის ჰორმონის გამოთავისუფლებას. რიგ კვლევებზე დაყრდნობით, გრელინს უნდა ჰქონდეს ფიზიოლოგიური ფუნქციების ფართო სპექტრი, რაც მოიცავს მაღის რეგულირებას, გავლენას ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციაზე, ძვლის ფორმირებაზე, საჭმლის მონელების პროცესზე, ნეიროგენეზსა და მიოგენეზზე. სწორედ მისი სეკრეციისა და დაშლის სიჩქარეს შორის ბალანსი განსაზღვრავს სისხლში მოცირკულირე გრელინის დონეს.

2000 წლიდან დაწყებული, რამოდენიმე მკვლევარის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ გრელინს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა გლუკოზის ჰომეოსტაზსა და პანკრეასის β -უჯრედების ფუნქციაზე.

გრელინის შესასწავლად ჩატარებული კვლევების სიმრავლის მიუხედავად, ყურადღებას იპყრობს მიღებული მონაცემების არაერთგვაროვნება. ასე, მაგალითად, Tong et al., 2010-ის მიხედვით ექსპერიმენტულ ცხოველებზე ჩატარებული

კვლევის მიხედვით გამოითქვა მოსაზრება, რომ გრელინი იწვევს გლუკოზა დამოკიდებული გზით ინსულინის სეკრეციის დაქვეითებას, ხოლო გრელინის ანტაგონისტების შეყვანა ვირთაგვაში აუმჯობესებენ β -უჯრედის ფუნქციას. აქედან გამომდინარე შდტ2-ის დროს განვითარებული ჰიპერინსულინემიის ერთ-ერთი მიზეზად მკვლევარების გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს გრელინის დონის დაქვეითებას. თუმცა ასევე ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევები, რომლის მიხედვითაც გრელინი მოქმედებს გლუკოზის დონისგან დამოუკიდებლად ინსულინის სეკრეციაზე, კერძოდ თრგუნავს მის გამომუშავებას, რაც ბადებს კითხვებს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს ჰიპერინსულინემიასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, აქტუალურად იქნა მიჩნეული გრელინის დონის ცვლილებებს შესწავლა შაქრიანი დიაბეტის დროს მეტაბოლურ მარკერებთან შესაძლო კორელაციების დადგენის მიზნით. კვლევა პირველ რიგში მიზნად ისახავდა შექმნილიყო შდტ2-თან მაქსიმალურად მიახლოებული ექსპერიმენტული მოდელი, რომელშიც განისაზღვრებოდა გლუკოზის დონის ცვლილებასთან მიმართებაში გრელინის დონის ცვლილება. ჩვენთვის საინტერესო იყო გვენახა რამდენად იცვლებოდა გრელინის დონე შდტ2-ის დროს ჯანმრთელ პოპულაციასთან შედარებით და გლუკოზის დონის ცვლილება რა გავლენას ახდენდა გრელინის დონეზე. სწორედ ამ მიზნით შეირჩა მცირე დოზებით რადონოთერაპია, რომელიც მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივ მინერალურ წყლებში.

მცირე დოზებით რადონოთერაპია დღეს აქტიურად გამოიყენება ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევების დროს. ის მიჩნეულია როგორც მაღალი ეფექტურობის მქონე ანტიოქსიდანტი, რომელიც ხსნის ოქსიდაციურ სტრესს შდტ2-ის დროს და დადებითად მოქმედებს როგორც გლიკემიის დონეზე ასევე შდტ2-ის გართულებებზე.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ გრელინი, რომელიც წარმოადგენს ორქესიგენულ ჰორმონს და რომლის რეცეპტორებიც აღმოჩენილია პანკრეასის β -უჯრედზე, შესაძლოა ზემოქმედებდეს ინსულინის სეკრეციის პროცესზე და, შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობდეს გლუკოზის მეტაბოლიზმში. ამასთანავე, ვვარაუდობთ, რომ აღნიშნულის დადასტურებამ შესაძლებელია შექმნას ახალი მნიშვნელოვანი სამიზნე შდტ2-ის პათოგენეზური მკურნალობისათვის.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს გრელინის სეკრეციის თავისებურებების გამოკვლევა და მეტაბოლიზმის მარკერებთან და გლიკემიის ნორმალიზაციასთან მათი კორელაციური კავშირების დადგენა.

კვლევის ამოცანები

- შექმნილიყო შდტ2-ის ისეთი ექსპერიმენტული მოდელი რომელიც პათოგენეზურად მაქსიმალურად მიახლოებული იქნებოდა შდტ2-თან, რისთვისაც შეირჩა 30 მგ სტრეპროზოტოცინის ორჯერადი ინექცია სპეციფიურ დიეტოთერაპიასთან კომბინაციაში.
- ექსპერიმენტულ მოდელებში განსაზღვრულიყო გრელინის და გლუკოზის დონე სიმსუქნის და შდტ2-ის დროს და შედარებულიყო საკონტროლო ჯგუფს.
- წყალტუბოს მინერალური წყლის რადონით ინჰალაციური თერაპიის ზეგავლენის შესწავლა გლიკემიის და გრელინის დონეზე.
- მიღებული შედეგების იდენტურობის/ ანალოგიურობის შემოწმება შდტ2-ით დაავადებულ ადამიანების კვლევის შედეგებთან.

სამეცნიერო სიახლე

- დადასტურდა გრელინის დონის კლება სიმსუქნის და ჭარბი წონის დროს და მისი კონცენტრაციის მატება STZ-ით ინდუცირებულ შდტ2 – ის ექსპერიმენტულ მოდელში.
- გრელინის უარყოფითი კორელაციური კავშირი ჰიპერგლიკემიის დონესთან სტრეპტოზოტოცინის დაბალი, ორჯერადი დოზით ინდუცირებული (30 მგ/კგ- ორჯერ) შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ექსპერიმენტულ ცხოველებში.
- წყალტუბოს მინერალური წყლებით რაადონოთერაპიის დადებითი გავლენა გლიკემიის და გრელინის დონეზე ექსპერიმენტული ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში.
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ პირებში კორელაციური კავშირის დადგენა გრელინის სეკრეციის ცვლილებებსა და შდტ2-ის დროს ისეთ მნიშვნელოვან მეტაბოლურ მარკერებს შორის როგორცაა: სართო ქოლესტერინის დონე, გლიკოზირებული ჰემოგლობინის მაჩვენებელი, სხეულის მასის ინდექსი და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის მაჩვენებელი.
- ჩვენ მიერ გრელინის კვლევისათვის ექსპერიმენტულ მოდელში პირველად იქნა გამოყენებული მოდელის ისეთი მოდიფიკაცია რომელიც თავის თავში აერთიანებს სტრეპტოზოტოცინის ორჯერად ინექციას და სპეციფიკურ დიეტას. ასეთი მოდელის უპირატესობა გრელინის კვლევის სხვა დიაბეტურ მოდელებთან შედარებით დაადასტურდა ანალოგიური შედეგების მიღებამ შდტ2-ით დაავადებულ ადამიანებში.
- შდტ2-ით დაავადებულ ადამიანებში მიღებული შედეგების იდენტურობა ექსპერიმენტულ ცხოველებში მიღებული შედეგებისა, განსხვავდება სხვა ავტორთა მონაცემებისაგან, ამასთანავე, ჩვენი ექსპერიმენტული შედეგების მართებულობა დასტურდება კლინიკური კვლევებითაც, რაც სხვა ავტორთა მიერ აღნიშნული არ არის.

პრაქტიკული ღირებულება

- ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ენდოგენური გრელინის რაოდენობრივი მაჩვენებლების კორელაცია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს არსებულ მეტაბოლურ დარღვევებთან, რაც საშუალებას იძლევა გრელინი განვიხილოთ, როგორც პერსპექტიული, არაინვაზიური მარკერი შაქრიანი დიაბეტის პროგნოზის შესაფასებლად და მნიშვნელოვან სამიზნედ შდტ2-ის მკურნალობის პროცესში.
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალტუბოს მინერალური წყალში არსებული რადონით ინჰალაციურმა თერაპიამ შდტ2-ით ექსპერიმენტულ ცხოველებში აჩვენა საკმაოდ ძლიერი ანტიჰიპერგლიკემიური ეფექტი და გრელინის დონის ნორმალიზება. შესაბამისად აღნიშნული ბუნებრივი რესური შესაძლოა განხილულ იქნას როგორც დამხმარე საშუალება შდტ2-ს მკურნალობის პროცესში.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

- შდტ2 -ის დროს გრელინის რაოდენობრივი კვლევის ექსპერიმენტული მოდელის პროტოკოლი უნდა მოიცავდეს სტრუქტოზოტოცინის 30მგ/კგ-ზე ორჯერად ინექციას სპეციფიკურ დიეტასთან კომბინაციაში.
- სიმსუქნის დროს ქვეითდება გრელინის სეკრეცია, თუმცა შდტ2-ის ინდუცირების შემდეგ ახასიათებს მატების ტენდენცია, რაც უარყოფით კორელაციურ კავშირშია გლუკოზის დონესთან.
- წყალტუბოს მინერალური წყლით რადონოთერაპია ამცირებს ჰიპერგლიკემიას და იწვევს გრელინის დონის ნორმალიზებას.
- მიღებული ექსპერიმენტული შედეგების მართებულობა დასტურდება ადამიანებზე ჩატარებული კლინიკური კვლევების იდენტური შედეგებით.

პუბლიკაციები

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 1 საერთაშორისო მიმოქცევის ჟურნალებში.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს 111 ნაბეჭდ გვერდს. შედგება თავებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი კვლევები, მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნები. დისერტაცია ილუსტრირებულია 8 დიაგრამით, 10 ცხრილით და 2 ილუსტრაციით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 153 წყაროს.

თავი II.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის აქტუალობა, გავრცელება და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (შდტ2) წარმოადგენს მეტაბოლური დარღვევების მქონე დაავადებების ჯგუფს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქრ. ჰიპერგლიკემია. მას ხშირად უწოდებდნენ „არაინსულინ დამოკიდებულ შაქრიან დიაბეტს“ ან „მოზრდილების შაქრიან დიაბეტს“ და შეადგენს შაქრიანი დიაბეტის ყველა შემთხვევის 90-95%-ს. ეს ფორმა მოიცავს პირებს, რომელთაც აქვთ ინსულინის შეფარდებითი დეფიციტი და პერიფერიული ინსულინ რეზისტენტობა (1, 2).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების სხვადასხვა მიზეზი არსებობს, თუმცა სპეციფიკური ეტიოლოგიური ფაქტორები არ არის ცნობილი და განსხვავებით შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ისგან, ბეტა-უჯრედების სწრაფი აუტოიმუნური დესტრუქცია არ ვლინდება. აღსანიშნავია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტების უმრავლესობას აქვს ჭარბი წონა ან სიმსუქნე. ჭარბი წონა და სიმსუქნე თავად იწვევს ინსულინრეზისტენტობას გარკვეული ხარისხით. პაციენტებს, რომელთაც არ აქვთ ჭარბი წონა ან სიმსუქნე ტრადიციული წონის კრიტერიუმების მიხედვით შესაძლოა ჰქონდეთ სხეულის ცხიმის მომატებული პროცენტულობა, ძირითადად განაწილებული მუცლის არეში (2, 3).

წლების მანძილზე ჰიპერგლიკემიის ეტაპობრივი მატების გამო, შდტ2 ხშირად მიმდინარეობს შეუმჩნეველად და დაავადების ადრეულ სტადიაზე პაციენტმა შესაძლოა ვერ შენიშნოს შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი კლასიკური სიმპტომები. შედეგად, წლების განმავლობაში ჩუმად მიმდინარე დაავადების ფონზე შეიძლება ისე განვითარდეს მიკრო და მაკროსისხლძარღვოვანი გართულებები, რომ პაციენტს შდტ2-ის დიაგნოსტიკისას უკვე აღეშნებოდეს მისი შორსწასული გართულებები, რომლებსაც შექცევადობა პრაქტიკულად არ ახასიათებთ (3, 4).

შდტ2-ის განვითარების რისკი იზრდება ასაკთან, წონის მატებასთან, თამბაქოს მოხმარებასთან და ფიზიკური აქტივობის შემცირებასთან ერთად. იგი ვითა-

რდება უფრო ხშირად ქალებში, რომელთაც ანამნეზში აქვთ გესტაციური შაქრიანი დიაბეტი (გშდ), ან ორივე სქესის პირებში, ვისაც აქვთ დიაგნოსტირებული არტერიული ჰიპერტენზია ან/და დისლიპიდემია. ხშირად ის დაკავშირებულია ძლიერ გენეტიკურ წინასწარგანწყობასთან, კერძოდ ოჯახურ ანამნეზში პირველი რიგის ნათესავებში დაავადების არსებობა (3, 5).

ეტიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, შდტ2-ის დროს განვითარებული ჰიპერგლიკემიის მიზეზები შესაძლოა იყოს: როგორც ინსულინის დაქვეითებული სეკრეცია, ასევე ინსულინის ათვისების დაქვეითების ფონზე გლუკოზის გაზრდილი პროდუქცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ შდტ2-ის პათოგენეზი გარდა ინსულინის სეკრეციისა და ათვისების დარღვევისა, მოიცავს გაზრდილ ლიპოლიზს, გლუკაგონის გაძლიერებულ სეკრეციას, ღვიძლისმიერი გლუკოზის ჰიპერპროდუქციას, ნეიროტრანსმიტერების ფუნქციის დარღვევას, თირკმელების მიერ გლუკოზის გაზრდილ რეაბსორბციას, კუნთოვანი ქსოვილის მიერ გლუკოზის ათვისების დაქვეითებას და ასევე ინკრეტინების ეფექტის დაქვეითებას (ილუსტრაცია N1) (2, 3, 6).


უმეტესობა ზემოთხსენებული პათოგენეზური მექანიზმებისა აღმოჩენილი იქნა ბოლო ათწლეულების განმავლობაში და დღემდე უწყვეტად გრძელდება შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ახალი პათოლოგიური ჯაჭვების ძიების პროცესი, რადგან ის ბოლომდე შესწავლილი არ არის (4, 6).

შდტ2-ის სხვადასხვა პათოგენეზური რგოლების აღმოჩენამ მედიცინას ახალი ანტიდიაბეტური კლასების შექმნის საშუალება მისცა, რომლებიც უკვე არსებული ანტიდიაბეტური მედიკამენტებისგან განსხვავებით უფრო ნატიფი მოქმედების მექანიზმითა და ნაკლები ჰიპოგლიკემიური ეფექტით ხასიათდებიან. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ პათოგენეზურ რგოლზე ერთდროულად მოქმედი კომბინაციური ანტიჰიპერგლიკემიური ფარმაცოთერაპია გლიკემიის უფრო ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა, ნაკლები ჰიპოგლიკემიის რისკის ფონზე (5, 7).

შდტ2-ის მზარდი სტატისტიკა ასევე აქტუალურს ხდის მის წინააღმდეგ ახალი გზების ძიებას. 2017 წლის მონაცემებით შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 მსოფლიო პოპულაციის მხოლოდ 8.1% აღენიშნებოდა, ხოლო 2045 წლისთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ეს ციფრი მოსალოდნელია რომ გაიზარდება 9.4%-მდე. აქვე აღსანიშნავია, რომ 40.6 % შემთხვევების არ არის დიაგნოსტირებული და 60 წელს ზევით პირებში 30.8% შემთხვევაში სიკვდილობის მიზეზს წა-

რმოადგენს შდტ2. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია შდტ2-ის ადრეული დიაგნოსტიკა და რისკჯგუფის განსაზღვრა, რადგან ჩუმად მიმდინარეობის შემთხვევაში დაავადების დიაგნოსტიკის მომენტში, შესაძლოა აღინიშნოს მისი უკვე შეუქცევადი გართულებები. შაქრიანი დიაბეტის ჩამოყალიბების ეტაპები ნათლად არის წარმოდგენილი ილუსტრაცია N2 (7, 8, 9, 10)-ზე.

ილუსტრაცია N2. შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ის ბუნებრივი მიმდინარეობა



შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დიაგნოსტიკის კრიტერიუმები

შდტ2-ის დიაგნოზის დასმა ხდება, როგორც სისხლში უზმოდ გლიკემიის განსაზღვრით, ისე 75 გრ გლუკოზით დატვირთვით და დატვირთვიდან 2 საათში გლუკოზის ციფრების და/ან HbA1c-ს დონის განსაზღვრით. სამივე მაჩვენებელს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს დიაგნოსტიკისთვის (10, 11). (ცხრილი N1).

ცხრილი N1. შაქრიანი დიაბეტის და პრედიაბეტის დიაგნოზის დასმის კრიტერიუმები

მარკერი	პრედიაბეტის დიაგნოზი	შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზი	შენიშვნა
უზმოდ გლუკოზა	100 – 125 მგ/დლ (5.6 – 6.9 მმოლ/ლ)	≥ 126 მგ/დლ (≥ 7.0 მმოლ/ლ)	უზმოდ არის მდგომარეობა, როდესაც კალორიული საკვების ან სასმელის მიღება არ ხდება მინიმუმ 8 საათის მანძილზე
75 გ გლუკოზით დატვირთვიდან 2 სთ-ში პოსტპრანდი-ალური გლიკემია	140 – 199 მგ/დლ (7.8 – 11.0 მმოლ/ლ)	≥ 200 მგ/დლ (≥ 11.1 მმოლ/ლ)	ტესტი ტარდება WHO-ს მიერ მოწოდებული სტანდარტების მიხედვით, 75 გ გლუკოზის წყალხსნარის გამოყენებით
HbA1c	5.7 – 6.4 % (39 – 47 მმოლ/ლ)	≥ 6.5 % (48 მმოლ/მოლ)	ტესტი უნდა ჩატარდეს ლაბორატორიაში NGSP სერტიფიცირებული მეთოდის გამოყენებით
შემთხვევითი გლუკოზა		≥ 200 მგ/დლ (≥ 11.1 მმოლ/ლ)	ჰიპერგლიკემიის კლასიკური სიმპტომების მქონე პირებში
იმ შემთხვევაში თუ არ ფიქსირდება ცალსახა ჰიპერგლიკემია და მონაცემები საეჭვოა, შედეგები უნდა დადასტურდეს განმეორებითი ტესტებით			

75 გრ. გლუკოზით დატვირთვის ტესტი, როგორც პირველადი ტესტი რეკომენდებულია თუ აღნიშნება:

- უზმოდ გლიკემიის ციფრები 100-125 მგ/დლ-ის ფარგლებში (5.6-6.9 მმოლ/ლ)
- ანამნეზში გულ-სისხლძარღვთა დაავადება (გულის კორონარული დაავადება, პერიფერიული სისხლძარღვოვანი დაავადება) ან გსდ-ის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფი
- მეტაბოლური სინდრომის დიაგნოზი

როდესაც სადიაგნოსტიკოდ ვიყენებთ HbA1c-ს, აუცილებლად მხედველობაში მისაღებია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს სისხლში გლიკემიის საშუალო დონეს და გლუკოზის გარდა არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედოს ჰემოგლობინის გლიკოზირების ფაქტორზე, მაგალითად ასაკი, ეთნიკურობა, ანემია/ჰემოგლობინოპათიები (8, 10, 12, 13).

ნამგლისებრუჯრედული ანემიის, ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრის, ჰემოდიალიზით მკურნალობის, ახლო წარსულში სისხლის კარგვის ან გადასხმის და ერთროპოეტინით მკურნალობის დროს, შაქრიანი დაიბეტის დიაგნოზის დასმისთვის უმჯობესია პლაზმაში გლუკოზის კონცენტრაციით ხელმძღვანელობა (8, 10) (ცხრილი N2).

ცხრილი N2. შაქრიანი დიაბეტის მაღალი რისკის ჯგუფების განსაზღვრა

<p>1. ჭარბი წონის ან სიმსუქნის მქონე (სმი ≥ 25 კგ/მ²) ზრდასრულები, ვისაც აქვს მინიმუმ 1 ქვემოთ ჩამოთვლილი რისკის ფაქტორი:</p> <ul style="list-style-type: none">• HbA1c ≥ 5.7 % (39 მმოლ/მოლ), გლუკოზისადმი დარღვეული ტოლერანტობა ან უზმოდ გლიკემიის დარღვევა• პირველი რიგის ნათესავები შაქრიანი დიაბეტით• მაღალი რისკის მქონე ეთნიკური წარმომავლობა (მაგ: აფრო-ამერიკელი, ლათინო ან მშობლიური ან აზიელ ამერიკელი, წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრი)• ქალები, ვისაც დაესვათ გესტაციური დიაბეტის დიაგნოზი• პაციენტები გულ-სისხლძარღვთა დაავადების დიაგნოზით• ჰიპერტენზიის მქონე პირები ($\geq 140/90$ მმ.ვწყ.სვ ან არსებულ ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობაზე)• HDL-ქოლესტერინის დონე < 35 მგ/დლ (0.90 მმოლ/ლ) და/ან ტრიგლიცერიდების დონე > 250 მგ/დლ (2.82 მმოლ/ლ)• ქალები პოლიკისტოზური საკვერცხის სინდრომით• ფიზიკურად არააქტიური პირები• პირები სხვა კლინიკური მდგომარეობებით, რომლებიც ასოცირდება ინსულინის მიმართ რეზისტენტობასთან (მაგ: მორბილული სიმსუქნე, აკანტოზის ნიგრიკანსი)
<p>2. ყველა პაციენტისთვის სკრინინგი უნდა დაიწყოს 40 წლიდან ან უფრო ადრე, თუ სმი ≥ 30 კგ/მ²</p>
<p>3. თუ სკრინინგის შედეგები ნორმაშია, განმეორებითი ტესტირება უნდა ჩატარდეს მინიმუმ</p> <p>4. 3 წლის ინტერვალით; უფრო ხშირი კონტროლი საჭიროა პირებში საწყის შედეგებსა (მაგ: პრედიაბეტის დროს, სკრინინგი ტარდება ყოველწლიურად) და რისკის სტატუსზე დაყრდნობით</p>

შდტ2-ით პაციენტის სრულფასოვანი გამოკვლევა და გართულებების დიაგნოსტიკა/შეფასება

პაციენტის მდგომარეობის შეფასება (ცხრილი N.3) მნიშვნელოვანია მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის არჩევისთვის, ამიტომ აუცილებელია პირველად ვიზიტზე ყოველი პაციენტის:

- დიაბეტის დიაგნოზის დადასტურება და შესაბამისი კლასისთვის მიკუთვნება
- დიაბეტის გართულებებისა და არსებული თანმხლები დაავადებების შეფასება
- დიაბეტის დიაგნოზის მქონე პაციენტის აქამდე არსებული მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება
- თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური მიდგომის არჩევა

მკურნალობის ინდივიდუალური მიდგომის არჩევისას გასათვალისწინებელია პაციენტის ასაკი, კოგნიტიური შესაძლებლობები, სკოლის/სამუშაო გრაფიკი/პირობები, კვების თავისებურებები, ფიზიკური აქტივობა, სოციალური სტატუსი, ფინანსური მდგომარეობა, კულტურული ფაქტორები, განათლების დონე, დიაბეტის ხანგრძლივობა, დიაბეტის გართულებები, სხვა თანმხლები დაავადებები, მკურნალობის გარკვეული ტიპის უპირატესობა და ცხოვრების ხანგრძლივობა (14, 15, 16).

ცხრილი N3. 2022 წლის დიაბეტის მართვის სამედიცინო სტანდარტები

დიაბეტის მქონე პაციენტის სრულფასოვანი გამოკვლევის გეგმა

სამედიცინო ანამნეზი:

- დიაბეტის დიაგნოსტიკისას ასაკი და გამოვლენილი მახასიათებლები (მაგ: დიაბეტური კეტოაციდოზი, ასიმპტომური ლაბ. მაჩვენებელი)
- კვების თავისებურებები, წონის ანამნეზი, ძილის თავისებურებები, ფიზიკური აქტივობის ჩვევები
- ძირითადი თანმხლები დაავადებების ან სტომატოლოგიური პრობლემების არსებობა
- სკრინინგი დეპრესიასა და აგზნებადობაზე
- ფსიქოსოციალური პრობლემების და დიაბეტის მართვის სხვა წინააღმდეგობის (მაგ: ფინანსური პრობლემები) სკრინინგი
- თამბაქოს, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების ანამნეზი
- აქამდე არსებული მკურნალობის გადახედვა
- წამის დამყოლიანობის შეფასება
- გლუკოზის თვითმონიტორინგის შეფასება
- დიაბეტური კეტოაციდოზის არსებობა, სიხშირე, სიმწვავე და მიზეზები
- ჰიპოგლიკემიის ეპიზოდები, ამოცნობა, სიხშირე და მიზეზები
- ანამნეზში ჰიპერტენზია და დისლიპიდემია
- მიკროსისხლძარღვოვანი გართულებები: რეტინოპათია, ნეფროპათია, ნეიროპათია (მათ შორის აუტონომირია, როგორცაა სექსუალური დისფუნქცია და გასტროპარეზი)
- მაკროსისხლძარღვოვანი გართულებები (გულის კორონარული დაავადება, ცერებროვასკულური დაავადება, პერიფერიული არტერიული დაავადება)
- შვილოსნობის ასაკის ქალებისთვის უნდა შეფასდეს კონტრაცეფციის მეთოდები და ორსულობის დაგეგმვის გზები

ფიზიკალური გამოკვლევა:

- სიმაღლე, წონა, სმი; ბავშვებსა და მოზარდებში – ზრდისა და პუბერტული განვითარების თავისებურებები
- არტერიული წნევა, მათ შორის ჩვენების დროს ორტოსტატიული გამოკვლევა
- ფუნდოსკოპიური გამოკვლევა
- ფარისებრი ჯირკვლის პალპაცია
- კანის გამოკვლევა (მაგ: აკანტოზის ნიგრიკანსი, ინსულინის ინექციები ან ინფუზიის საიტების დათვალიერება)
- ფეხის გამოკვლევა
 - ინსპექცია
 - ტერფის დორსალური პალპაცია და ტიბიალური პულსაცია
 - აქილევსისა და მუხლის რეფლექსების არსებობა/არ არსებობა
 - პროპრიოცეპტული, ვიბრაციული და მონოფილამენტზე მგრძნობელობის შეფასება

ლაბორატორიული გამოკვლევა:

- HbA1c (თუ არ არის 3 თვის მონაცემი)
- თუ არ არის ჩატარებული ბოლო ერთი წლის მანძილზე, საჭიროა:
 - უზმოდ ლიპიდური პანელი (საერთო ქოლესტერინი, მაღალი და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები, ტრიგლიცერდიები)
 - ღვიძლის ფუნქციური სინჯები
 - შარდში ალბუმინ/კრეატინინის თანაფარდობა
 - შრატის კრეატინინი და გლუმერულური ფილტრაციის სიჩქარე
 - შდტ1-ის დროს თირეოტროპული ჰორმონი

შდტ2 ხშირად მიმდინარეობს თანმხლებ დაავადებებთან ან მდგომარეობებთან ერთად. აუცილებელია პაციენტებისთვის აღნიშნულ დაავადებებსა და მდგომარეობებზე ინფორმაციის მიწოდება.

ცხრილი N4. შაქრიანი დიაბეტის თანმხლები დაავადებები

ხშირი თანმხლები დაავადებები/მდგომარეობებია:	
აუტოიმუნური დაავადებები	უპირატესად შაქრიანი დიაბეტის ტიპი 1-ის მქონე პაციენტებს გაზრდილი აქვთ სხვა აუტოიმუნური დაავადებების განვითარების რისკი, როგორცაა აუტოიმუნური თირეოიდიტი, პირველადი თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა, ცელიაკია, აუტოიმუნური გასტრიტი, აუტოიმუნური ჰეპატიტი, დერმატომიოზიტი და მياسთენია.
სიმსივნე	დიაბეტი ასოცირდება ღვიძლის, პანკრეასის, ენდომეტრიუმის, სწორი ნაწლავის, მუშუს და შარდის ბუშტის სიმსივნეების გაზრდილ რისკთან.
კოგნიტიური დარღვევები/დემენცია	<ul style="list-style-type: none">- დიაბეტის არმქონე პირებთან შედარებით 73%-ით გაზრდილია ყველა სახის დემენციის და 56%-ით ალცჰაიმერის დაავადების რისკი;- კოგნიტიური დარღვევების მქონე პირებსაც გაზრდილი აქვთ დიაბეტის რისკი- მიზეზებში განიხილება: ჰიპერგლიკემია, ჰიპოგლიკემია, კვების სტატუსი, სტატინების მოხმარება

ღვიძლის ცხიმოვანი დაავადება	
მოტეხილობა	ასოცირდება როგორც შაქრიან დიაბეტ ტიპ 1, ისე ტიპ 2-თან
სმენის დარღვევები	სავარაუდო მიზეზებია ნეიროპათია და სისხლძარღვოვანი დაავადებები
ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი	დიაბეტის რისკი იზრდება აივ-ის მკურნალობაზე
მამაკაცებში ტესტოსტერონის დაბალი დონე	ძირითადად სიმსუქნის გამო
ძილის ობსტრუქციული აპნოე	შდტ2-ის დროს გაზრდილია 23%-მდე, ხოლო ძილის ნებისმიერი სხვა სუნთქვითი დარღვევები 58%-მდე
პაროდონტიტი	უფრო მწვავე მიმდინარეობის და ხშირია შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებში
ფსიქოსოციალური/ემოციური დარღვევები	როგორცაა დეპრესია, კვების აშლილობები, მენტალური ავადობები

შდტ2-ის პრევენცია

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პრევენცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ცხოვრების წესის შეცვლა:
 - კვება
 - ფიზიკური აქტივობა
 - თამბაქოს მოხმარების შეწყვეტა
2. ფარმაკოთერაპია
3. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების განვითარების რისკის პრევენცია.
4. ფსიქოსოციალური საკითხების მართვა

პაციენტებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მაღალი რისკით (პაციენტები პრედიაბეტით) რეკომენდებულია ყოველწლიური მონიტორინგი გლიკემიის მაჩვენებლების (ან/ შაქრიანი დიაბეტის ჩამოყალიბების). პაციენტები გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევით ან დარღვეული უზმოდ გლიკემიის მაჩვენებლით, ასევე გლიკოზირებული ჰემოგლობინის მაჩვენებელი 5, 7-6.4 % – ით იმყოფებიან შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მარალი რისკის ქვეშ და საჭიროებენ ყოველწლიურ მონიტორინგს (16, 17, 18, 19).

პაციენტებში პრედიაბეტით, იმისათვის რომ მოხდეს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პრევენცია, რეკომენდებულია ცხოვრების წესის შეცვლა, რომელიც მიმართული იქნება სხეულის საწყისი მასის 7%-ით შეცვლისკენ და მოიცავს ფიზიკურ აქტივობას, (ძირითადად სწრაფი სიარული) დატვირთვით 150 წუთი / კვირაში (19, 20).

ცხრილი N5. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ფარმაცოთერაპია

<p>განისაზღვროს პაციენტის ინდივიდუალური სამიზნე HbA1c-ს დონე – რაც უპირატესად არის 7% (\pm 0.5-1%); თუ ვერ ხერხდება სამიზნე HbA1c-ს მიღწევა, მაშინ მკურნალობა გააგრძელეთ ალგორითმის მიხედვით</p> <p>პირველი რიგი: მეთფორმინი არის უპირატესი პირველი რიგის არჩევის პრეპარატი. თუ არსებობს მისი დანიშვნის უკუჩვენება ან აუტანლობა, აირჩიეთ სხვა მკურნალობა</p>					
მეთფორმინი	სულფანილ-შარდოვანა	DPP-4 ინჰიბიტორი	SGLT-2 ინჰიბიტორი	GLP-1 რეცეპტორის აგონისტი	ინსულინი
<p>თუ ვერ მოხდა სამიზნე გლიკემიის მიღება 3 თვეში:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეამოწმეთ და გადახედეთ არსებულ მკურნალობას • მოხსენით ის პრეპარატი, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ აუმჯობესებს გლიკემიას • შეაფასეთ რამდენად იგებს და იცავს პაციენტი მკურნალობის პრინციპებს • აირჩიეთ მკურნალობის შემდგომი, ინდივიდუალური ტაქტიკა • გამორიცხეთ სხვა თანმხლები მდგომარეობები/მკურნალობა, რამაც შესაძლოა იმოქმედოს გლიკემიაზე 					
<p>მეორე რიგი: თუ მეთფორმინი არ იყო გამოყენებული, როგორც პირველი რიგის მკურნალობა, წინააღმდეგევენების არ არსებობს შემთხვევაში ეცადეთ მისი გამოყენება. მეთფორმინთან კომბინაციაში ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მეორე რიგის აგენტი არის სულფანილშარდოვანა. თუ სულფანილშარდოვანა უკუნაჩვენებია ან არის მის მიმართ აუტანლობა, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა აგენტი.</p>					
სულფანილ-შარდოვანა	DPP-4 ინჰიბიტორი	SGLT-2 ინჰიბიტორი	GLP-1 რეცეპტორის აგონისტი	ინსულინი	
<p>თუ ვერ მოხდა სამიზნე გლიკემიის მიღება 3 თვეში:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეამოწმეთ და გადახედეთ არსებულ მკურნალობას • მოხსენით ის პრეპარატი, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ აუმჯობესებს გლიკემიას • შეაფასეთ რამდენად იგებს და იცავს პაციენტი მკურნალობის პრინციპებს • აირჩიეთ მკურნალობის შემდგომი, ინდივიდუალური ტაქტიკა • გამორიცხეთ სხვა თანმხლები მდგომარეობები/მკურნალობა, რამაც შესაძლოა იმოქმედოს გლიკემიაზე 					
<p>მესამე რიგი: სამი პერორალური აგენტის კომბინაცია ან ინექციური ანტიდიაბეტური პრეპარატების (GLP-1 რა ან ინსულინი) დამატება</p>					
სულფანილ-შარდოვანა	DPP-4 ინჰიბიტორი	SGLT-2 ინჰიბიტორი	GLP-1 რეცეპტორის აგონისტი	ინსულინი	
<p>თუ ვერ მოხდა სამიზნე გლიკემიის მიღება 3 თვეში:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეამოწმეთ და გადახედეთ არსებულ მკურნალობას • მოხსენით ის პრეპარატი, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ აუმჯობესებს გლიკემიას • შეაფასეთ რამდენად იგებს და იცავს პაციენტი მკურნალობის პრინციპებს • აირჩიეთ მკურნალობის შემდგომი, ინდივიდუალური ტაქტიკა • გამორიცხეთ სხვა თანმხლები მდგომარეობები/მკურნალობა, რამაც შესაძლოა იმოქმედოს გლიკემიაზე 					
შემდეგ					
თუ არის სამმაგი პერორალური პრეპარატის კომბინაცია	ან	თუ არის GLP-1 რა		ან	თუ ბაზალურ ინსულინზე
ჩაანაცვლეთ ერთი ან მეტი GLP-1 რა-ით ან ინსულინით		შეცვალეთ ბაზალური ინსულინით	დაამატეთ ბაზალური ინსულინი		დაამატეთ ბოლუსური ინსულინი

ჰიპოგლიკემიის რისკის მართვა

ჰიპოგლიკემია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია შდტ2-ის მკურნალობაში (17, 20, 21).

ცხრილი N6. ჰიპოგლიკემიის კლასიფიკაცია

დონე	გლიკემიის მაჩვენებელი	აღწერილობა
I – გამაფრთხილებელი	≤ 70 მგ/დლ (3.9მმოლ/ლ)	არ საჭიროებს მკურნალობას, უმჯობესდება ადვილად შეწოვადი ნახშირწყლების მიღებით.
II – მნიშვნელოვანი	<54 მგ/დლ (<3.0მმოლ/ლ)	კლინიკურად მნიშვნელოვანი
III – მძიმე	არსპ.ზღურბლს ქვემოთ	დაკავშირებულია ღრმა კოგნიტურ დაზიანებასთან, საჭიროებს გადაუდებელ რეანიმაციას.

- ჰიპოგლიკემიის მაღალი რისკის მქონე პირები მუდმივად უნდა იყვნენ გამოკითხულნი სიმპტომიანი და უსიმპტომო ჰიპოგლიკემიის ეპიზოდების თაობაზე.
- თუ გლუკოზის დონე ≤ 70 მგ/დლ (3, 9 მმოლ/ლ) რეკომენდებულია 15-20 გრ გლუკოზის ან ნებისმიერი გლუკოზის შემცველი ნახშირწყლების მიღება. გლუკოზის მიღება გრძელდება თუ 15 წუთის შემდეგ გაზომვისას გლუკოზის დონე ისევ დაბალია.
- აუხსნელი ჰიპოგლიკემიის ან ერთი ან ორი მძიმე ჰიპოგლიკემიის ეპიზოდის შემთხვევაში, რეკომენდებულია გადაიხედოს მკურნალობის რეჟიმი.
- ინსულინოთერაპიაზე მყოფ პაციენტებში აუხსნელი ჰიპოგლიკემიის ან კლინიკურად მნიშვნელოვანი ჰიპოგლიკემიის ეპიზოდის შემთხვევაში, რეკომენდებულია გლიკემიის სამიზნე მაჩვენებლის გაზრდა რამოდენიმე კვირის განმავლობაში, მომავალში ჰიპოგლიკემიის ეპიზოდების თავიდან აცილების მიზნით.
- რეკომენდებულია კოგნიტური ფუნქციების განგრძობითი კონტროლი მზარდი ჰიპოგლიკემიის დროს, როდესაც შეინიშნება ცნობიერების დაბინდვა (17, 18, 19, 20).

მეტაბოლური ქირურგია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მკურნალობაში

სხვადასხვა გატრო-ინტესტინალური ქირურგიული ჩარევები უზრუნველყოფს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ პაციენტებში მგომარეობის მნივნილოვან გაუმჯობესებას. აღნიშნული ტიპის მკურნალობა დღეისათვის ცნობილია მეტაბოლური ქირურგიის სახელწოდებით (20, 23).

- მეტაბოლური ქირურგია რეკომენდებულია პაციენტებში შდტ2-ით რომელთა სმი ≥ 40 კგ/მ², აგრეთვე პაციენტებში რომელთა სმი მერყეობს 35-39.9 კგ/მ², აღნიშნებათ რთულად კონტროლირებადი ჰიპერგლიკემია მიუხედავად ცხოვრების წესის ცვლილებისა და ოპტიმალური მედიკამენტოზური მკურნალობისა.
- მეტაბოლური ქირურგია რეკომენდებულია პაციენტებში შდტ2-ით პაციენტებში რომელთა სმი მერყეობს 39- 34.9 კგ/მ², აღნიშნებათ რთულად კონტროლირებადი ჰიპერგლიკემია მიუხედავად ცხოვრების წესის ცვლილებისა და ოპტიმალური მედიკამენტოზური (მათ შორის საინექციო) მკურნალობისა.
- მეტაბოლური ქირურგია განხორციელებულ უნდა იქნას გამოცდილი და მულტიდისციპლინურ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ.
- მეტაბოლური ქირურგიის შემდგომ, პოსტოპერაციულად პაციენტების მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს. რუტინულად უნდა იქნას გაკონტროლებული მიკრონუტრიენტების შემცველობა და მათი კვებითი სტატუსი, ნაცონალური ან საერთაშორისო გზამკვლევების მიხედვით.
- პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდება მეტაბოლური ქირურგია, საჭიროებენ ფსიქოთერაპიას, როგორც პრე ასევე პოსტოპერაციულად.
- მეტაბოლური ქირურგია უკუნაჩვენებია პაციენტებში ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ღრმა დეპრესიით, სუიციდის მცდელობებით და სხვა მენტალური დაღვევების არანამკურნალები მდგომარეობების დროს (23).

მეტაბოლური ქირურგიის გვერდით მოვლენებს მიეკუთვნება: დემპინგ სინდრომი (გულისრევა, კოლიკა, დიარეა), ვიტამინების და მინერალების დეფიციტი, ანემია, ოსტეოპოროზი, იშვიათად მძიმე ჰიპოგლიკემია, დეპრესია და სხვა ფსიქიატრიული დაავადებები (19, 20, 23).

2.2. გრელინის ფიზიოლოგია და რეგულაცია

გრელინი ორქესიგენული პეპტიდია, რომელიც ძირითადად სეკრეტირდება კუჭში. ის ასტიმულირებს მადას და ზრდის ჰორმონის გამოთავისუფლებას. რიგ კვლევებზე დაყრდნობით, გრელინს უნდა ჰქონდეს ფიზიოლოგიური ფუნქციების ფართო სპექტრი. ის სავარაუდოდ მონაწილეობს საკვების მიღების რეგულირებაში და მეტაბოლურ პროცესებში, გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებაზე, ძვლის ფორმირებაზე, საჭმლის მომნელებელ სისტემის მუშაობაზე, ნეიროგენეზსა და მიოგენეზზე. აღნიშნული ფუნქციების უმეტესობას ასრულებს აცილირებული გრელინი. სწორედ მისი სეკრეციის, დეგრადაციისა და კლირენსის სიჩქარეს შორის ბალანსი განსაზღვრავს სისხლში მოცირკულირე გრელინის დონეს (25).

გრელინი შედგება 28 ამინომჟავისაგან და მისი სახელწოდება წარმოშობილია ფუძისგან – ‘ghre’, რაც ინდო-ევროპულ ენებში ნიშნავს „ზრდას“ (მიუთითებს რა გრელინის მიერ ზრდის ჰორმონის გამოთავისუფლების სტიმულირების უნარზე). 1976 წელს ბაუერსმა და მისმა თანაშემწეებმა აღმოაჩინეს ოპიოიდური წარმოშობის მქონე პეპტიდები, რომლებიც არ ავლენდნენ არანაირ ოპიოიდურ აქტივობას და ამვდროულად ჰქონდათ ზრდის ჰორმონის (GH) გამოთავისუფლების სუსტი უნარი. ამის გამო მათ მოიხსენიებდნენ, როგორც GH secretagogues (GHSs). GHSs მოქმედებდა ჰიპოფიზისა და ჰიპოთალამუსზე და გამოიშუშავებდა ზრდის ჰორმონს, არა GH-რილიზინგ ჰორმონის რეცეპტორის (GHRH-R), არამედ the GHS-R – რეცეპტორის საშუალებით. სინთეზური GHSs და the GHS-R მიუთითებდა იმაზე, რომ უნდა არსებულიყო რაღაც უცნობი ენდოგენური ლიგანდი GHS-R-სთვის. თუმცა ვირთხის კუჭიდან – გრელინის გამოყოფა და იდენტიფიცირება, როგორც ენდოგენური ლიგანდის GHS-R.1-ის მიმართ, მხოლოდ 1999 წელს მოხდა (25).

გრელინის სინთეზი და ექსპრესია

სისხლში მოცირკულირე გრელინის დაახლოებით 60-70% სეკრეტირდება კუჭში, დანარჩენი – წვრილ ნაწლავებში და დარჩენილი მცირე წილი გვხვდება ნაწლავების მიღმა რამდენიმე ქსოვილში, მათ შორის ჰიპოთალამუსში, ჰიპოფიზში, ფილტვებში, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში, თირკმელებში, ძვლებში, სათესლე ჯირკვლებში, პლაცენტასა და პანკრეასის კუნძულების უჯრედებში (26, 27).

ადამიანის პრეპროგრელინის გენი მდებარეობს 3p25-26 ქრომოსომაზე. მისი mRNA ტრანსლირდება 117-ამინომჟავის მქონე პრეპროგრელინის პრეკურსორად, რომელიც შემდგომ იშლება გრელინად და სხვა ფრაგმენტებად (27).

პრეპროგრელინის სავარაუდო პროტეოლიზური ფრაგმენტია ასევე ობესტატინი. ის 23-ამინომჟავის მქონე პეპტიდია, რომელსაც გააჩნია გრელინისგან განსხვავებული ფუნქციები. ვირთაგვებში, რომლებსაც მკურნალობდნენ ობესტატინით აღინიშნებოდა საკვების მიღების შემცირება, ნაწლავების შეკუმშვის ინჰიბირება და წონაში მატების დათრგუნვა (28, 29).

პლაზმაში გრელინის დონე

სისხლში გრელინის დონის განსაზღვრაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისხლის ალების და შემდგომ მისი შენახვის პირობები. რეკომენდებულია სისხლის ნიმუშების აღება მოხდეს EDTA-აპროტინინით (ან სხვა პროტეაზას ინჰიბიტორებით) გრილ პირობებში და შემდეგ გაგრძელდეს ნიმუშის აციდირება და განზავება (26, 27, 28).

გრელინის დონე მნიშვნელოვნად განსხვავებულია დღე-ღამის განმავლობაში და საგრძნობლად იმატებს ძილის დროს. მისი დონე განსხვავებულია სხვადასხვა ასაკში და იზრდება ასაკის მატებასთან ერთად ისე, რომ არ აქვს არანაირი კავშირი ადამიანის სქესთან. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი კვლევის მონაცემები, რომელიც შეისწავლიდა განსხვავებას კუჭში გრელინის უჯრედების რაოდენობასა და შრატში გრელინის კონცენტრაციას შორის ქალებსა და მამაკაცებში. კვლევამ აჩვენა, რომ გრელინის სეკრეცია შესაძლოა იყოს სასქესო ჰორმონების ან სხვა უცნობი ფაქტორების კონტროლის ქვეშ (30, 31).

უახლესი მეთოდები საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ მოციურული გრელინის სხვადასხვა ფორმები. ეს ორი ძირითადი ფორმა გახლავთ აცილირებული (AG) და არააცილირებული გრელინი (UAG). AG-ს აქვს უნიკალური თვისება – მოახდინოს ცხიმოვანი მჟავების პოსტტრანსლაციური ეთერიფიკაცია სერინის ნაშთზე, მე-3 პოზიციაზე. ეს აცილირება არის აუცილებელი გრელინის გააქტიურებისთვის და მასზე პასუხისმგებელია მემბრანასთან შეკავშირებული ენზიმი, გრელინ-O-აცილტრანსფერაზა (GOAT) (32, 33, 34, 35).

თუმცა მოციურული გრელინის უმეტესობა არის არააცილირებული. არააცილირებული გრელინი (UAG) პირველად განხილული იყო, როგორც გრელინის არააქტიური ფორმა, მაგრამ ბოლო მტკიცებულებები მიუთითებს იმას, რომ UAG-ს შეუძლია გრელინის სისტემის მეტაბოლური აქტივობის მოდულირება დამოუკიდებლად ან შესაძლოა ჰქონდეს აცილირებული გრელინის საპირისპირო მოქმედება (36).

გრელინის რეცეპტორები

გრელინის რეცეპტორის (GHSR) მატრიცული რნმ (mRNA) წარმოდგენილია, როგორც შერწყმული ვარიანტი, რომელიც აკოდირებს ორ რეცეპტორს, გრელინის რეცეპტორ 1-ს – GHS-R1a-ს და არაფუნქციურ – GHS-R1b-ს. GHS-R1a-სგან განსხვავებით, GHS-R1b არ აქტიურდება გრელინით ან სინთეზური GHS-ით, სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ ის არ უნდა იყოს ფუნქციური რეცეპტორი. სავარაუდო მიზეზად კი თვლიან GHS-R1b-ის არასწორ ტრანსპორტირებას და აკუმულირებას ბირთვში. რაც შეეხება GHS-R1a-ს, ის არის 366 ამინომჟავისგან შემდგარი შვიდ ტრანსმემბრანულ G-ცილასთან შეკავშირებული რეცეპტორი, ლიგანდისგან დამოუკიდებელი სასიგნალო აქტივობის ძლიერი უნარით (34, 38).

GHS-R1b mRNA ისევე ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა ქსოვილში, როგორც თვითონ გრელინი. რაც შეეხება GHS-R1a-ს, მისი გენი წარმოდგენილია ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზურ ხაზში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ცნს-ში) და პერიფერიულ ქსოვილებში (კუჭში, ნაწლავებში, პანკრეასში, ფარისებრი ჯირკვალში, სასქესო ჯირკვლებში, თირკმელზედა ჯირკვლებში, თირკმელებში, გულსა და სისხლძარღვებში, კუჭში, ელენტაში) (38, 39).

გრელინის ფიზიოლოგიური ფუნქციები

გრელინს აქვს ფუნქციების ფართო სპექტრი: მას შეუძლია ზრდის ჰორმონის (GH)-გამოთავისუფლება პირდაპირი ზემოქმედებით ჰიპოფიზის სომატოტროფულ უჯრედებზე. გრელინის მაღალ დონეს კი შესაძლოა ჰქონდეს პროლაქტინის, კორტიკოტროპინის და კორტიზოლის სეკრეციის სტიმულირების უნარიც (40).

გრელინს გააჩნია ორექსიგენური (მადის მასტიმულირებელი ეფექტი). ის არის ერთადერთი ცნობილი ორექსიგენური ნაწლავური პეპტიდი. გრელინის დონის ზრდამ კვების წინ და შემცირებამ ჭამის შემდეგ წარმოშვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ის არის „შიმშილის“ ჰორმონი, თავის ეფექტებს კი ახორციელებს GHS-R1a-ს მეშვეობით. ამ უკანასკნელზე მეტყველებს ორექსიგენური ეფექტის ნაკლებობა GHS-R-ის არმქონე თაგვებში (37, 40).

გრელინს მაინჰიბირებელი მოქმედება აქვს პროოპიომელანოკორტინის (POMC) ნეირონებზე, POMC mRNA-ზე ზემოქმედების გარეშე. ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, გრელინის ორექსიგენური ეფექტის შუამავლად მიიჩნევა AgRP/NPY ნეირონების სპეციფიკური მოდულაცია ჰიპოთალამუსის რკალისებრ ბირთვში (ARC-ში) (42).

მოიაზრება, რომ ეს ეფექტი ხორციელდება ყოველგვარი ცვლილებების გარეშე სხვა კვებასთან ასოცირებული ისეთი ნეიროპეპტიდების mRNA-ის დონეზე, როგორებიცაა მელანოციტ-მასტიმულირებელი ჰორმონი (MCH) და პრეპრო-ორექსინი (OX). უახლესი მონაცემები გვთავაზობს მოსაზრებას, რომ გრელინის ეს ორექსიგენური ეფექტი განპირობებულია ჰიპოთალამუსის ადენოზინმონოფოსფატი (AMP) – პროტეინ კინაზას (AMPK) აქტივობით (40, 41).

გრელინის სიგნალი კუჭიდან თავის ტვინს გადაეცემა ვაგუსის ნერვის მეშვეობით. თუმცა ვაგუსის ნერვის მთლიანობა რამდენად გადამწყვეტია გრელინის სრულფასოვანი ეფექტისთვის – ამ საკითხზე აზრი არ არის უნივერსალური. რადგან გასტრექტომიამ ვაგატომიის თანხლებით ადამიანებში ხელი არ შეუშალა ორექსიგენური ეფექტს გრელინისას ამ უკანასკნელით მკურნალობის პერიოდში (43, 44).

გრელინი და გლუკოზის ჰომეოსტაზი

2000 წლიდან დაწყებული, მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ გრელინს გააჩნია მნიშვნელოვანი როლი გლუკოზის ჰომეოსტაზისა და პანკრეასის β -უჯრედების ფუნქციის რეგულირებაში. გამოავლინა ნეგატიური უკუკავშირი პლაზმურ გრელინსა და ინსულინის დონეს შორის (45).

პლაზმურ გრელინსა და ინსულინის დონეზე გავლენას ახდენს სისხლში გლუკოზის დონე. მაღალი გლუკოზა თრგუნავს გრელინის სეკრეციას და ასტიმულირებს ინსულინისას. ასევე გრელინი აინჰიბირებს ინსულინის გავლენას – გლიკოგენის სინთეზსა და გლუკონეოგენეზზე ინ ვიტრო. გრელინს ასევე შეუძლია დააინჰიბიროს ინსულინ-მგრძნობიარე ცილა ადიპონექტინის სეკრეცია ადიპოციტებიდან და დაასტიმულიროს ზრდის ჰორმონის (GH) სეკრეცია, კორტიზოლის, ეპინეფრინისა და შესაძლოა გლუკაგონისაც. მეტი კვლევებია საჭირო გრელინის ფიზიოლოგიური როლის ზუსტად შესასწავლად გლუკოზის ჰომეოსტაზში (44, 45, 46, 47).

დიდი ძალისხმევაა მიმართული გრელინის სისტემის პოტენციური გავლენის შესასწავლად საკვების მიღებაზე, სხეულის წონაზე, სიმსუქნესა თუ ენერჯის დანახარჯებზე. თუმცა ენდოგენური გრელინის მოქმედება ზოგიერთ პროცესზე რჩება ორაზროვანი, მისი გლუკომარეგულირებელი მოქმედებები უკვე შეაფასეს, როგორც კარგი, ექსტრემალური მეტაბოლური შემთხვევების დროს. შიმშილისას გრელინის გავლენა სისხლში გლუკოზის მომატებაზე არის სასარგებლო სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობისგან თავის დასაცავად (46, 47).

მაგრამ იგივე ეფექტები, ერთი შეხედვით, საზიანოა სიმსუქნისა და დიაბეტის შემთხვევებში ისევე და ისევე ჰიპერგლიკემიის გამო. როგორც უკვე აღინიშნა სისხლში გლუკოზის დონის ცვლილება გავლენას ახდენს გრელინის დონეზე, კერძოდ გლუკოზის მატება სისხლში თრგუნავს რა გრელინის სეკრეციას. ქვემოთ განხილულია ფაქტორები, რომლებიც სავარაუდოდ უნდა წარმოადგენდეს შუამავლებს გრელინის გლუკომარეგულირებელ მოქმედებებში, განსაკუთრებით ისეთი უკიდურესი მეტაბოლური მეტაბოლური მდგომარეობების დროს, როგორებიცაა შიმშილი და დიაბეტი (48, 49).

კვლევებით დადასტურდა, რომ ზრდასრული ადამიანის სისხლში მოცირკულირე გრელინი მიღებულია კუჭიდან, თუმცა ნაყოფში გრელინი ჭარბობს პანკრეასის კუნძულებში. გრელინის წარმომქმნელი უჯრედები შეადგენენ დაახლოებით

1%-ს ზრდასრული ადამიანის ენდოკრინული კუნძულების უჯრედის ყველა ტიპს შორის. გრელინის აცილირებული ფორმა მუშაობს GHSR-თან დაკავშირებით და მისი გააქტიურებით. GHSR ძირითადად წარმოდგენილია ნეირონულ პოპულაციებში, როგორებიცაა ნეიროპეპტიდი Y ნეირონები და რამდენიმე პერიფერიულ ქსოვილში, როგორებიცაა კუჭ-ნაწლავის ტრაქტი და პანკრეასის კუნძულები. სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები გრელინის სისტემისა, გრელინისა და GHSR-ის გარდა მოიცავს გრელინო-აცილტრანსფერაზას (GOAT); აგრეთვე ცნობილს, როგორც მემბრანასთან დაკავშირებული O-აცილტრანსფერაზა 4 (MBOAT4), რომელიც აკატალიზებს გრელინის აცილირებას და ანტიმიკრობულ პეპტიდ 2-ს (LEAP2), რომელიც ახლახან აღწერეს, როგორც ენდოგენური ანტაგონისტი GHSR-ის. აღსანიშნავია, რომ მოცირკულირე გრელინის უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია არაცილირებული ფორმით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას მოცირკულირე აცილირებული გრელინის სწრაფი დეაცილირებით ბუტირილქოლინესთერაზა და აცილ-პროტეინ-თიოესტერაზა 1-ის მიერ. არაცილირებულ გრელინს აქვს სუსტი აფინურობა GHSR-ის მიმართ და გაურკვეველია მისი მოქმედებები, რომლებიც ზოგიერთ ჭრილში საპირისპიროც კი არის აცილირებული გრელინის მოქმედებებისა (49, 50, 51, 52).

კვლევები გრელინის გლუკომარეგულირებელი მოქმედებების შესასწავლად მუდმივად გრძელდება, მოწოდებულია შედეგები გრელინისა და სისხლის გლუკოზის კავშირის შესახებ, გრელინის სავარაუდო გავლენის შესახებ სისხლში გლუკოზის დონის რეგულაციაში შიმშილისა და შაქრიანი დიაბეტის დროს. ასევე აღნიშნულ კვლევებზე დაყდნობით არსებობს მოსაზრება გრელინის პოტენციური უნარის შესახებ იმოქმედოს სისხლში უკონტროლო გლუკოზის დონის პირობებში (54).

ადრეული კვლევების მტკიცებით, ჯანმრთელ მღრღნელებში გრელინის შეყვანა იწვევს სისხლში გლუკოზის მკვეთრად მომატებას (55).

მათზე დაყდნობით, ვამბობთ, რომ მოცირკულირე გრელინის დონის გაზრდა იწვევს სისხლში გლუკოზის დონის გაზრდას და აუარესებს გლუკოზისადმი ტოლერანტობას, და საპირისპიროდ, GHSR ან GOAT ანტაგონისტები აქვეითებს უზმოდ გლუკოზის დონეს სისხლში და აუმჯობესებს გლუკოზისადმი ტოლერანტობას. მიუხედავად იმისა, რომ პლაზმის გრელინის დონე არის შემცირებული კვებით გამოწვეული სიმსუქნის მქონე თაგვებში, ეს მცირე რაოდენობაც საკმარისია გლუკოზისადმი ტოლერანტობის გასაუარესებლად. ასევე საინტერესოა, რომ გრე-

ლინის 2სთ-იანი ინფუზია ზრდის სისხლში გლუკოზის დონეს როგორც გამხდარ, ასევე ჭარბ წონიან ადამიანებში. (55, 56, 59).

გრელინის გლუკომარეგულირებელი მოქმედებები გამოკვლეულია კალორიების შეზღუდვისას და ბარიატრიული ქირურგიის შემთხვევებშიც. მაგალითად, თავებს, რომელთაც დაქვეითებული აქვთ გრელინის სეკრეცია, აღნიშნებათ სისხლში გლუკოზის უფრო დაბალი დონე 12 საათიანი ღამის შიმშილის შემდეგაც კი. უნდა აღინიშნოს რომ ეს ზრდის სიცოცხლისათვის საშიში ჰიპოგლიკემიის რისკს კალორიების შეზღუდვის პირობებში (60, 61).

გრელინის ეფექტი სისხლის გლუკოზის დონეზე როგორც არაეტელ აღნიშნა მოიცავს ინსულინისადმი მგრძნობელობის შემცირებას, ასევე როგორც პირდაპირ ისე არაპირდაპირ ზემოქმედებას პანკრეასის კუნძულების ძირითადი ენდოკრინული უჯრედების ტიპებზე (მაგალითად, პანკრეასის ბეტა უჯრედებიდან ინსულინის სეკრეციის დათრგუნვას). სხვა ფაქტორები მოიცავს პანკრეასის α -უჯრედებიდან გლუკოგონის სეკრეციის მოდულაციას და პანკრეასის δ -უჯრედებიდან სომატოსტატინის სეკრეციის, ნაწლავის L-უჯრედებიდან გლუკაგონის მსგავსი პეპტიდ-1 (GLP-1) სეკრეციის და ჰიპოფიზში სომატოტროფებიდან GH-ის სეკრეციის სტიმულაციას. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია საკვების მიღების სტიმულაცია. საინტერესოა გლუკოკორტიკოიდების როლი, რომელთა დონეს ასევე გრელინი ზრდის, გრელინთან ასოცირებულ სისხლის გლუკოზის რეგულირებაში, თუმცა აღნიშნული ჯერჯერობით სრულად არ არის გამოკვლეული. მომავალში საჭიროა კვლევები გრელინის ფუნქციების უკეთ შესასწავლად. მანამდე კი, ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ იმ ძირითად, ჩვენთვის ცნობილ, ფაქტორებს, რომლებიც ჩართულია გრელინის გლუკომარეგულირებელ მოქმედებებში (65).

ინსულინის სეკრეციის და/ან ინსულინისადმი მგრძნობელობის შემცირება ქმნის ძირითად კავშირს, რომლის მეშვეობითაც გრელინი ზრდის სისხლში გლუკოზის დონეს. გრელინის შემსწავლელი კვლევების უმეტესობა აჩვენებს, რომ გრელინი ამცირებს ინსულინის სეკრეციას, თუმცა არსებობს გარკვეული კვლევები, რომლებიც ალტერნატიულად ვარაუდობს, რომ გრელინს არ აქვს გავლენა ინსულინის სეკრეციაზე, ან მეტიც, რომ გრელინი ზრდის ინსულინის სეკრეციას. გრელინის ეგზოგენური ინფუზია თრგუნავს კვების შემდგომ ინსულინის სეკრეცი-

ას ანუ გლუკოზით-სტიმულირებულ ინსულინის სეკრეციას ადამიანში. თუმცა, ენდოგენური გრელინის მოქმედება ინსულინის სეკრეციაზე ადამიანებში არ არის შესწავლილი (63, 64, 65).

მექანიზმები, რომლითაც გრელინი თრგუნავს ინსულინს, სავარაუდოდ არის პირდაპირი ზემოქმედება პანკრეასის კუნძულებზე. უნდა აღინიშნოს, რომ გრელინი თრგუნავს ინსულინის სეკრეციას მღრღნელის პანკრეასის კუნძულებიდან, ხოლო ფარმაკოლოგიური ბლოკადა GHSR მოქმედებების პირიქით, აძლიერებს ინსულინის გამოთავისუფლებას (67, 68).

კვლევები გრელინ-დეფიციტურ თაგვებში აჩვენებს, რომ გრელინი ასევე მოქმედებს ინსულინისადმი მგრძობელობაზე. მაგალითად, ნაკვები გრელინ-KO (ghrelin knockout (KO)) თაგვები და სიმსუქნის მქონე GHSR-KO თაგვები საჭიროებენ გლუკოზის ინფუზიის უფრო მაღალი სიჩქარეს ჰიპერინსულინემიურ-ეუგლიკემიური მდგომარეობის დროს. რაც მიუთითებს შემდეგს: გრელინის ან GHSR-ის დეფიციტი აუმჯობესებს ინსულინისადმი მგრძობელობას. სიმსუქნის მქონე ghrelin-KO და GHSR-KO თაგვები ასევე ხასიათდებიან გლუკონეოგენეზის უფრო დაბალი სიჩქარით და გლუკოზის დაშლის მაღალი სიჩქარით. მაგალითად, გლუკოზით დატვირთული სიმსუქნის მქონე გრელინ-KO თაგვები ავლენენ გლუკოზის უფრო მაღალი ათვისების უნარს ზოგიერთ პერიფერიულ ორგანოში, მათ შორის ჩონჩხის კუნთებში, ყავისფერ ცხიმოვან ქსოვილსა და თეთრ ცხიმოვან ქსოვილში (69, 70).

საერთო ჯამში, კვლევების შედეგები მღრღნელების მოდელებსა და ადამიანებში მიუთითებს ერთს: გრელინის დონის მატება აუარესებს გლუკოზისადმი ტოლერანტობას, ნაწილობრივ ინსულინისადმი მგრძობელობის შემცირებით და შესაბამისად გლუკოზის დაშლის შემცირებით, ასევე ღვიძლის მიერ გლუკოზის პროდუქციის მატებით (67, 71).

გრელინის ეფექტი გლუკაგონის სეკრეციაზე შერეულად არის აღწერილი ლიტერატურაში. თუმცა GHSRs იპოვეს იზოლირებულ α -უჯრედებში, ეს აღმოჩენა არ არის უნივერსალური. პლაზმური გრელინის მომატება თაგვებში ან გრელინის შეყვანა ან ტრანსგენური მომატებული ექსპრესიით გრელინომების მიერ იწვევს გლუკაგონის და გლუკოზის დონის მატებას სისხლში. ხოლო GHSR-null თაგვებს აღენიშნებათ დაბალი უზმოდ პლაზმური გლუკაგონის და სისხლში გლუკოზის შემცირებული დონე (71, 72, 73).

თავგებიდან გამოცალკევებული პანკრეასის კუნძულების ალფა უჯრედებში (α - უჯრედი) გრელინ-ინდუცირებული გლუკაგონის სეკრეციის კვლევების და დაკვირვებების შედეგების გაერთიანებით მქლავნდება, რომ გრელინს შეუძლია დაასტიმულიროს გლუკაგონის სეკრეცია პანკრეასის α -უჯრედებიდან და შესაბამისად გაზარდოს გლიკემიის დონე. თუმცა, როგორც ჩანს, გრელინის მოქმედება გლუკაგონის მატების გზით გაზარდოს სისხლის გლუკოზის დონე, შემოიფარგლება ღამის შიმშილის პერიოდით და არ ვლინდება სიმამდრისას. მეტი კვლევებია საჭირო გლუკაგონის, როგორც შუამავლის, მოქმედების დასადგენად გრელინის გლუკომარეგულირებელი მოქმედებების აღნიშნულ პირობებში (74, 75).

GH წარმოადგენს არსებით მედიატორს გრელინის გლუკომარეგულირებელ მოქმედებებში ქრონიკულად კალორიების შეზღუდვის ფონზე. GH-ის მომატება დაფიქსირდა ორივე, GOAT-KO და გრელინ- α -KO თავგებში, ერთკვირიანი პროტოკოლის განმავლობაში; GH-ის ინფუზია იცავდა ჰიპოგლიკემიისგან და გაზრდილი სიკვდილიანობისგან აცილებული გრელინის გამოტოვებული პასუხი გამო (76).

ეს ხაზს უსვამს გრელინის კრიტიკულ გლუკომარეგულირებელ როლს შიმშილის პერიოდში და მიუთითებს GH-ზე, როგორც მედიატორზე ამ ფუნქციის შესასრულებლად. გრელინის სისხლში გლუკოზის შემანარჩუნებელი მოქმედება კალორიების მკაცრი შეზღუდვისას დამოკიდებულია ცხიმის საწყის მასასა და თავის ასაკზე. გრელინის აღნიშნული ფუნქცია ჩანს, რომ კრიტიკულია ახალგაზრდა თავგებში. მაგალითად, როცა 3 კვირის ასაკის ველური ტიპის თავგებს მკურნალობდნენ ბეტაბლოკერებით (ათენოლოლი), რომლებიც ამცირებს პლაზმის გრელინს, ისინი გახდნენ მგრძობიარენი გრელინის დეფიციტთან ასოცირებული ჰიპოგლიკემიის მიმართ თუნდაც მოკლე, მხოლოდ ღამის შიმშილის შემდეგ. ენდოგენური გრელინის სისხლში გლუკოზის ამაღლების ნიშნები აღინიშნა ნეონატალურ პერიოდში პრადერ-ვილის სინდრომის მქონე თავგებში (Snord116del mice), რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ჰიპოგლიკემიისკენ ახალგაზრდა ასაკში. ამავე Snord116del თავგებში გრელინ- α -KO ფონზე კიდევ უფრო მკვეთრი იყო სისხლში გლუკოზის დაქვეითება. საბოლოოდ ეს შედეგები მტკიცედ მიუთითებს გრელინის გლუკოზის შემანარჩუნებელ უნარზე შიმშილისას და ასევე იმ პირებში, რომლებიც მგრძობიარენი არიან ჰიპოგლიკემიის მიმართ (78, 79).

გრელინს, გარდა სისხლში გლუკოზის მომატებისა საკვების მიღების სტიმულაციის გზით, შეუძლია თავის ტვინზე ზემოქმედებით დაარეგულიროს სისხლში გლუკოზის ჰომეოსტაზი. და პირიქით, დელეცია GHSRs ყველა ნეირონიდან ან შერჩევით თაღოვანი AgRP ნეირონებიდან იწვევს უზმოდ სისხლში გლუკოზის დონის შემცირებას (80, 81).

ასევე, თავგებში ქრონიკული ინტრაცერებროვენტრიკულური ინფუზია გრელინის იწვევს ღვიძლში გლუკონეოგენეზს. ეს შედეგები მიუთითებს იმას, რომ გრელინის მოქმედებას თავის ტვინზე შეუძლია აკონტროლოს ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქცია და არა მხოლოდ გაზარდოს მადა და შესაბამისად საკვების მიღება (82, 83).

რამდენიმე კვლევის მონაცემები გვთავაზობს მოსაზრებას, რომ პლაზმის გრელინის მოქმედებას ნაწლავის L- უჯრედებზე და იწვევს GLP-1-ის სეკრეციის გაძლიერებას (80, 83, 87). ეს უკანასკნელი აუმჯობესებს გლუკოზისადმი ტოლერანტობას თავგებში, განსხვავებით გაუარესებისა, რაც ჩვეულებრივ ვლინდება ხოლმე გრელინის მიღებისას ადამიანებში. კვებით განპირობებულმა GLP-1-ის მატებამ შესაძლოა შეამსუბუქოს გრელინის შემდგომი მოქმედება დათრგუნოს პანკრეასის ბეტა უჯრედებიდან ინსულინის სეკრეცია. მთლიანობაში გრელინის სისტემის ეფექტი გლუკოზის ცვლაზე განისაზღვრება კომპლექსურად, რაც მოიცავს გრელინს და GLP-1, რომელსაც აქვს საპირისპირო მოქმედება ინსულინის სეკრეციაზე, საკვების მიღებასა და კუჭის დაცლაზე (88, 89).

არააცილირებული გრელინი ასევე მოქმედებს სისხლში გლუკოზის ჰომეოსტაზზე, თუმცა რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ არააცილირებული გრელინის ინფუზია არ ცვლის უზმოდ ან ჭამის შემდეგ სისხლის გლუკოზას და ინსულინს. სხვა კვლევებზე დაფუძნებით კი ვლინდება მომატებული კვების შემდგომი ინსულინი, დაქვეითებული ჭამის შემდგომი გლუკოზის დონე და ინსულინისადმი მგრძობელობის გაუმჯობესება. სხვადასხვა კვლევების მონაცემების მიხედვით არააცილირებულ გრელინს შესაძლოა არ ჰქონდეს დამოუკიდებელი გლუკომარეგულირებელი მოქმედება, ან შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს აცილირებული გრელინის მოქმედებას და აბალანსებდეს გლუკომარეგულირებელ მოქმედებებს აცილირებული გრელინის. ასევე არსებობს კლინიკური კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ არააცილირებული გრელინი არ ეწინააღმდეგება გლუკომარეგულირებელ მოქმედებას აცილირებული გრელინისას, თუნდაც აცილირებულ გრელინთან შეფარდე-

ბით ოთხჯერ უფრო მაღალი კონცენტრაციით შეყვანისას. მღრღნელებში არააცი-
ლირებული გრელინის ზრდის გლუკოზა-ინდუცირებულ ინსულინის სეკრეციას და
აუმჯობესებს ინსულინის მგრძობელობას (87, 90).

პლაზმის გრელინის დონე იცვლება კვების სტატუსის მიხედვით: კალორიე-
ბის შეზღუდვა ზრდის პლაზმის გრელინის დონეს, ხოლო საკვების მიღება იწვევს
სწრაფ დაცემას პლაზმური გრელინის დონის (88, 89, 91).

გლუკოზა იწვევს სწრაფ ჩახშობას პლაზმური გრელინის ადამიანებსა და
მღრღნელებში შეყვანისას როგორც პარენტერალური ისე ორალური გზით (91).

გლუკოზის ან ამინომჟავების პირდაპირ შეყვანა კუჭში, თორმეტგოჯა ნაწლავში
ასევე თრგუნავს პლაზმის გრელინის დონეს ვირთაგვებში. ეს მეტყველებს, რომ გლუ-
კოზა კუჭის სანათურში პირდაპირ არ თრგუნავს გრელინის გამოყოფას. სანაცვლოდ,
რამდენიმე კვლევა გვთავაზობს რომ გლუკოზა გავლენას ახდენს გრელინის გამო-
ყოფაზე მხოლოდ სისხლის მიმოქცევის ცირკულაციაში მოხვედრის შემდეგ (93, 94).

გლუკოზის მიერ განპირობებული გრელინის სეკრეციის დათრგუნვა ასევე სა-
ვარაუდოდ ხდება ჰორმონების, ინსულინისა და გლუკაგონის მოცირკულირე დონის
ცვლილების მიხედვითაც. როგორც კლინიკური, ასევე ექსპერიმენტული მტკიცებუ-
ლებები ამბობს, რომ ინსულინს შეუძლია გლუკოზისგან დამოუკიდებლად იმოქმედოს
პლაზმის გრელინის დონეზე და/ან გრელინის სეკრეციაზე. ჩატარებული კვლევის მი-
ხედვით ინსულინის ინფუზია იწვევდა პლაზმის გრელინის დონის ვარდნას ეუგლი-
კემიური მდგომარეობის დროსაც კი. რაც შეეხება გლუკაგონს, მისი გავლენა პლაზ-
მური გრელინის რეგულირებაზე არის სხვადასხვაგვარად მოწოდებული სხვადასხვა
ლიტერატურაში. ადამიანებზე ჩატარებულმა კვლევებმა დააფიქსირა რომ გლუკაგონი
ან იზრდება, ან მცირდება, ან არ გააჩნია ეფექტი პლაზმის გრელინის მიმართ (95).

რამდენიმე კვლევა გამოთქვამს ვარაუდს, რომ გრელინს შეუძლია გავლენა
იქონიოს სისხლში გლუკოზის დონეზე შაქრიანი დიაბეტის დროს. პლაზმური გრე-
ლინის დონე არის დაბალი სიმსუქნის მქონე პირებში და პირებში შაქრიანი დიაბე-
ტი ტიპი 2-ით, რომელთაგან ბევრ მათგანს ასევე შეიძლება აღენიშნებოდეს სიმსუქ-
ნე. გრელინს, როგორც ჩანს, აქვს დიაბეტოგენური თვისებები სიმსუქნის მქონე პი-
რებში, სხეულის წონაზე მისი მოქმედებისგან დამოუკიდებლად. ამიტომ, არსებობს
ვარაუდი, რომ გრელინის სისტემის მოქმედებების ბლოკადა შესაძლოა გამოყენე-
ბულ იქნეს, როგორც მიდგომა გლუკოზის ტოლერანტობის გასაუმჯობესებლად
სიმსუქნის და ასევე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტებში (96, 97, 98).

მიუხედავად იმისა, რომ პლაზმური გრელინის დონე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით (შდტ1) დაავადებულ პირებში არ არის შესწავლილი, არსებობს ვარაუდი, რომ მოციკულირე გრელინის მაღალი დონე ხელს უწყობს ჰიპერგლიკემიას შდტ1-ით დაავადებულებში. თუმცა სრული შეფასებისთვის საჭიროა მეტი კვლევა და დეტალური შესწავლა გრელინის გავლენისა სისხლში გლუკოზის რეგულირებაზე შდტ1-ით მქონე პირებში (99,100).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მქონე პირებში არ არის აღნიშნული, არსებობს ვარაუდი, რომ მოციკულირე გრელინის მაღალი დონე ხელს უწყობს ჰიპერგლიკემიას ინდივიდებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით. თუმცა სრული შეფასებისთვის საჭიროა მეტი კვლევა და შესწავლა გრელინის გავლენის სისხლში გლუკოზის რეგულირებაზე ამ პაციენტებში (99, 100).

გრელინის დიაბეტოგენური მოქმედებამ კვებით გამოწვეული სიმსუქნის დროს გამოიწვია დიდი ინტერესი გრელინის ანტაგონისტების და მათთან დაკავშირებული ნაერთების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა შეამცირონ გრელინით ინდუცირებული ინსულინორეზისტენტობა და გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა. თეორიული სარგებელი GHSR ან GOAT-ის ანტაგონისტების გამოყენების დიაბეტის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნაცვლად იქნებოდა ახალი პოტენციური უნარი გლუკოზის ჰომეოსტაზის გასაუმჯობესებლად (100, 101).

ბოლო აღმოჩენამ LEAP2-ის, როგორც ენდოგენური GHSR-ის ანტაგონისტი შემოიტანა ახალი იმედი. სტაბილური არააცილირებული გრელინის პეპტიდის ანალოგმა (AZP-531) არაერთი წარმატება აჩვენა სისხლში გლუკოზის კონტროლის მხრივ სიმსუქნის და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პირებში (100).

მიუხედავად იმისა, რომ გრელინი არ არის მთავარი მოთამაშე გლუკოზის ჰომეოსტაზის იდეალური მეტაბოლური მდგომარეობის დროს, გრელინი გარდაიქმნება ავანგარდად და აკონტროლებს სისხლში გლუკოზას ისეთ ექსტრემალურ პირობებში, როგორიცაა მაგალითად შიმშილი. ალტერნატიულად, გრელინის მოქმედებები შეიძლება იყოს დიაბეტოგენური კვებით გამოწვეული სიმსუქნის და შაქრიანი დიაბეტის ზოგიერთი მონოგენური ფორმის დროს. ვფიქრობთ, რომ გრელინის სისტემაზე დაყრდნობა, მასზე მუშაობა მაინც რჩება შესაძლებელ, მომავალში განხორციელებად მექანიზმად სისხლში გლუკოზის კონტროლის მიღწევის მიზნით შაქრიანი დიაბეტის მქონე ადამიანებში (101, 102, 103).

გრელინი და ლიპიდების მეტაბოლიზმი

გრელინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თეთრ ცხიმოვან ქსოვილში (WAT) ლიპიდების დაგროვებაში. გრელინი აძლიერებს ადიპოგენეზს, ზრდის ცხიმის შემნახველი ფერმენტის აქტივობას, ზრდის ტრიგლიცერიდების შემცველობას და ამცირებს ლიპოლიზს. გარკვეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პერიფერიული გრელინი ზრდის WAT-ის მასას მუცლის მიდამოში ლიპიდების გადატანის შეზღუდვით და არა თვითონ ლიპოლიზის დათრგუნვით. აღმოჩნდა ისიც, რომ გრელინით ინდუცირებული ლიპიდური დაგროვება არ არის სპეციფიკური მხოლოდ WAT-ისთვის. ეგზოგენურმა გრელინმა საგრძნობლად გაზარდა ლიპიდური წვეთების რაოდენობა ვირთხებისა და თაგვების ღვიძლშიც. გრელინის ეს უკანასკნელი ეფექტი კი განპირობებულია პირდაპირი აქტივაციით თავისი რეცეპტორის ჰეპატოციტებზე. ამის გამო გრელინის რეცეპტორების ანტაგონიზმი ან მისი გენის დელეცია მნიშვნელოვნად ამცირებს სიმსუქნესთან ასოცირებულ ღვიძლის სტეატოზს ლიპოგენეზის დათრგუნვის გზით (104, 105).

თაგვებში თუმცა გრელინი არ არის აუცილებელი საკვების მისაღებად, ის აუცილებელია ჰიპოგლიკემიისგან სიკვდილის თავიდან ასაცილებლად, კალორიების მკაცრი შეზღუდვის პირობებში. საინტერესოა კვლევების შედეგები, რომლებიც ჩატარდა ტოტალური გასტრექტომიის შემდგომ პერიოდში. და ცხადყო, რომ გასტრექტომიის შემდეგ თავდაპირველად გრელინის წარმოქმნის შემცირებამ, კომპენსატორულად განაპირობა მისი პროდუქცია ნაწლავებისა და პანკრეასის მიერ (103, 106).

გრელინის სეკრეციის რეგულაცია

სისხლში მოცირკულირე გრელინის დონეს განსაზღვრავს მისი სეკრეციის, დეგრადაციისა და კლირენსის სიჩქარის მაჩვენებლებს შორის ბალანსი. მისი სეკრეცია იცვლება სხვადასხვა პირობებში: შიმშლისას, პათოლოგიური მდგომარეობისას და ბარიატრიული ქირურგიის შემდეგ. ფიზიოლოგიურ პირობებში გრელინის დონე იზრდება უზმოდ და მცირდება კვების შემდეგ. გრელინის პლაზმური დონე მცირდება მაღალკალორიული კვების ქრონიკული მიღებით და სიმსუქნის მქონე ადამიანებში. ინსულინი, გლუკაგონი, ოქსიტოცინი, სომატოსტატინი, დოფამინი, გლუკოზა და გრძელჯაჭვიანი ცხიმოვანი მჟავები – ყველა ჩამოთვლილმა გამოვლინა მარეგულირებელი როლი გრელინის სეკრეციაში პირდაპირი ზემოქმედებით გრელინის უჯრედებზე (106, 105).

სისტემური გრელინის დაბალი დონე დაფიქსირდა სიმსუქნის, არანამკურნალები ჰიპერთირეოზის, მამაკაცებში ჰიპოგონადიზმის, საკვერცხეების პოლიკისტოზური სინდრომის, ჰელიკობაქტერ პილორით (*Helicobacter pylori*) გამოწვეული გასტრიტის მქონე პაციენტებში. საპირისპიროდ ამისა – პლაზმაში გრელინის დონე მაღალია ნერვული ანორექსიით დაავადებულ პაციენტებში (109).

საინტერესოა, რომ გლუკოზის ან ამინომჟავების იზოკალორიულმა ნაწლავურმა ინფუზიებმა უფრო სწრაფად დათრგუნა გრელინის დონე, ვიდრე ლიპიდურმა ინფუზიებმა. ეს უკანასკნელი თეორიულად შესაძლოა შემდეგნაირად აიხსნას: გლუკოზა და ამინომჟავები, რომლებიც სწრაფად შეიწოვება ნაწლავებიდან, თრგუნავს გრელინს სწრაფადვე. ამის საპირისპიროდ, ლიპიდები, რომლებიც საჭიროებენ ნაწლავებში მონელებას შეწოვამდე, იწვევს გრელინის დონის უფრო სუსტ დათრგუნვას (108, 115).

ის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებენ საკვების მიერ გრელინის სისტემურ სუპრესიაში კარგად არ არის ცნობილი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საკვები ნივთიერებების პირდაპირი შეგრძნებით გრელინის წარმომქმნელი უჯრედების მიერ და საკვების მიღების საპასუხოდ გამოთავისუფლებული ინსულინის, გლუკაგონის მსგავსი პეპტიდი 1 (GLP-1)-ის, პეპტიდი YY (PYY)-ის და ქოლეცისტოკინინი (CCK)-ის მიერ (110, 111).

გარკვეული კვლევები მიუთითებს იმას, რომ ინსულინს შეუძლია დათრგუნოს გრელინის სეკრეცია და სისხლის შრატში მთლიანი გრელინის დონე (108).

ამას შეუძლია ახსნას გრელინის დაბალი დონის არსებობა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტებში. არსებობს უამრავი მონაცემი, რომელიც მიუთითებს, რომ გრელინის და გრელინის რეცეპტორების აბლაცია აუმჯობესებს ინსულინი-სადმი მგრძობელობას და გრელინის ინფუზია ადამიანებში ამცირებს გლუკოზი-სადმი ტოლერანტობას ჰიპერინსულინემიისა და ეუგლიკემიური მდგომარეობის პირობებში (113, 114).

გლუკაგონი გავლენას ახდენს გრელინზე, როგორც დასტურდება შემდეგ-ნაირად: 1) გლუკაგონის რეცეპტორი წარმოდგენილია კუჭის ლორწოვანი გარსის ენდოკრინულ უჯრედებში; 2) გლუკაგონის კონცენტრაცია იზრდება უზმოდ; 3) ვირთაგვაში გლუკაგონის შეყვანის შემდეგ იზრდება გრელინის პლაზმური კონცე-ნტრაცია; 4) ვირთაგვის კუჭიდან გამოთავისუფლებული გრელინი არის გაზრდი-ლი გლუკაგონის პერფუზიით; 5) გლუკაგონმა შესაძლოა პირდაპირ გაააქტიუროს გრელინის გენის ტრანსკრიფცია. უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ გრელინი პირ-დაპირი გზით რეგულირდება გლუკაგონის მიერ (115, 118).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა კვლევამ ვერ აღმოაჩინა კორელაცია გრე-ლინისა და ლეპტინის დონეს შორის სიმსუქნის მქონე ბავშვებსა და მოზარდებში, სხვა კვლევები გვთავაზობენ ლეპტინსა და გრელინს შორის ურთიერთქმედების მაგალითე-ბს. ნაჩვენებია, რომ ლეპტინი თრგუნავს, როგორც კუჭში გრელინის სეკრეციას, ასევე გრელინის მიერ კვების სტიმულირებას. ლეპტინსა და გრელინს შორის ეს ჯვარედინი კავშირი ცნობილია „გრელინ-ლეპტინის ტანგოს“ სახელწოდებით (110, 111, 117).

ზრდის ჰორმონი (GH) ავლენს უარყოფით უკუკავშირს გრელინის სეკრეცია-ზე, ამიტომ GH-ით თერაპია GH დეფიციტის მქონე პაციენტებში მნიშვნელოვნად ამცირებს შრატში აცილირებული გრელინის კონცენტრაციას. რადგანაც ინსუ-ლინის მსგავსი ზრდის ფაქტორი-1 (IGF-1) თრგუნავს GH-ის სეკრეციას, მას ასევე შეუძლია გამოიწვიოს გრელინის სეკრეცია პირდაპირი ან ირიბი გზით. სომატო-სტატინი კი სავარაუდოდ თრგუნავს გრელინის სინთეზს პირდაპირი გზით. ასევე უარყოფითად მოქმედებს გრელინის სეკრეციაზე კორტიზოლი და ცხიმოვანი მჟა-ვები (116, 117, 118).

რაც შეეხება ესტროგენს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს კამათი მისი ზემოქმედე-ბის შესახებ გრელინის დონეზე. ჩატარდა კვლევები, რომლებმაც აჩვენა, რომ ესტ-როგენი დადებითად არეგულირებს გრელინის დონეს (120, 121). თუმცა, ესტრო-

გენით ჩანაცვლებითი თერაპია ქალებში პოსტმენოპაუზურ პერიოდში ან ზრდის შრატში ტოტალური და აცილირებული გრელინის სეკრეცია მხოლოდ უმნიშვნელოდ ან ამცირებს შრატში ტოტალური გრელინის დონეს (122, 123, 124).

ავტონომიური ნერვული სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრელინის რეგულაციაში. ვაგუსის ნერვის აგზნებას შეუძლია გრელინის სეკრეციის სტიმულირება. ვირთხებსა და ადამიანებში გრელინის დონე იზრდება მუსკარინული აგონისტების მიღების შემდეგ და მცირდება მუსკარინული ანტაგონისტების შეყვანის შემდეგ. ეს სტიმულატორული ეფექტი, ალბათ, განპირობებულია პირდაპირი ზემოქმედებით გრელინის მწარმოებელ უჯრედებზე, რომლებსაც მართავს ნაწლავური ნერვული სისტემა (125, 126, 127).

გრელინის რეგულაციაში ასევე მონაწილეობას იღებს სიმპათიკური ნერვული სისტემა. პლაზმაში აცილირებული გრელინის კონცენტრაცია ინდუცირდება α -ადრენერგული ანტაგონისტის და β -ადრენერგული აგონისტის მიერ. ადრენერგული აგენტები მოქმედებენ პირდაპირ $\beta 1$ რეცეპტორებზე გრელინის მასეკრეტირებელი უჯრედების. ვაგოტომია, როგორც ცნობილია, მწვავედ აფერხებს კუჭში გრელინის სეკრეციას, მაგრამ ააქტივებს მის სეკრეციას გრძელვადიან პერიოდში, რაც სავარაუდოდ განპირობებული უნდა იყოს ქოლინერგულ და ადრენერგულ ტონებს შორის ბალანსით, რომლებიც აკონტროლებენ ნაწლავის ნერვულ სისტემას (128, 129).

გრელინი და მისი ანტაგონისტები

გასულ ათწლეულში სცადეს გრელინის კლინიკური გამოყენება მისი ანაბოლური ფუნქციიდან გამომდინარე, სხვადასხვა პათოლოგიების შემთხვევებში, მათ შორის კახექსიის, სარკოპენიის მქონე პაციენტებში, მოოპენიის და სისუსტის მდგომარეობების დროს. გრელინის სარგებელს სწავლობენ გულის შეგუბებითი უკმარისობისა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პაციენტებში. ქირურგიის სფეროში გრელინი სრულყოფილად აუმჯობესებს პაციენტების ზოგად მდგომარეობას და ცხოვრების ხარისხს. რამდენიმე სინთეზური გრელინის მიმეტიკის კვლევა მიმდინარეობს. ამჟამად დამუშავების პროცესშია სამი ნაერთი. მაკიმორელინს სწავლობენ GH დეფიციტის დიაგნოზის შემთხვევებში. მეორე ნაერთი – ანამორელინი ჩართულია კლინიკურ კვლევებში კახექსიური სიმსივნის მკურნალობაში. მესამე ნაერთი, რელამორელინი (ასევე ცნობილი, როგორც RM-131) ამჟამად იმყოფება კლინიკური კვლევის II ფაზაში სამომავლოდ სამკურნალოდ დიაბეტური გასტროპარეზისა და კუჭ-ნაწლავის (GI) სხვა დაავადებების დროს (130, 131).

გრელინის ორექსიგენური და ლიპოგენური ეფექტი პოტენციურად იძლევა გამოყენების შესაძლებლობას გრელინის ანტაგონისტების ან რევერსული აგონისტების სიმსუქნის სამკურნალოდ. თუმცა, კვლევები ამ სფეროში აჩვენებს ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს: ზოგიერთ კვლევებში გრელინის ანტაგონისტი ამცირებს სხეულის წონას და საკვების მიღების მოთხოვნილებას, მაშინ როცა სხვა კვლევებში ზრდის (132, 133, 134).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრელინი ასრულებს უამრავ ფიზიოლოგიურ როლს და რეგულირდება რამდენიმე ფაქტორის მიერ. მისი მარეგულირებელი მექანიზმების შესწავლა მისი სეკრეციის, აცილირებისა და დეგრადაციის ცვლილებებით უზრუნველყოფს უკეთეს თერაპიულ სარგებელს გრელინის, გრელინის მიმეტიკების, ინვერსიული აგონისტებისა და გრელინის ანტაგონისტების (135, 136, 137).

2.3. დაბალი დოზებით რადონოთერაპიის ზეგავლენა გრელინისა და გლუკოზის სეკრეციაზე

საქართველოში ფართოდაა ცნობილი წყალტუბოს მინერალური წყალი, რომელიც დიდი დებეტისაა და ითვლება ქლორიდ-ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმ შემცველ წყლად. იგი ხასიათდება სტაბილურობით და დროის მიხედვით არ განიცდის ცვლილებას. წყალტუბოს წყლის რადიოაქტიურობა დაახლოებით 37 ბკ/მ³-ია, რაც დასაშვებ ზღვარზე მნიშვნელოვნად დაბალია. წყლის გაზურ ბუმტუკებში რადონის შემცველობა შედარებით მეტია, თუმცა, ესეც არ სცილდება ადამიანისთვის დასაშვებ ზღვრულ ნორმებს. წყალტუბოს წყალში ასევე აღმოჩენილია ისეთი მიკროელემენტები, როგორცაა იოდი, ბრომი, მაგნიუმი, ლითიუმი, თუთია, სტრონციუმი და სპილენძი. წყალტუბოს წყალი საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელი თერაპიის მიზნით, პერიფერიული სისტემის მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, თავის ტვინის, კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედების აღდგენითი პროცესების, ბაქტერიული თუ ვირუსული დაავადებების შემდგომი მდგომარეობების, დეპრესიისა და ქცევითი დარღვევების შემთხვევებში. დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი წყალტუბოს მინერალური წყლის ეფექტურობა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს (138).

თუმცა რადონის შემცველი წყალტუბოს მინერალური წყალი გამოიყენება ინჰალაციის სახით, რომელიც ხელს უწყობს უჯრედების სწრაფ აღდგენას პანკრეასში, ასევე ააქტიურებს ჰორმონულ ცვლას და წარმართავს ჰორმეზისის პროცესს (139).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის სამკურნალო კურსი ვირთაგვებზე უკვე ჩატარებული კვლევების მიხედვით, მოიცავს ყოველდღიურ 10 წუთიან ინჰალაციებს, 8-12 დღის განმავლობაში. მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი შეიმჩნევა ინჰალაციების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, ხოლო მკურნალობის შედეგად მიღწეული რემისია ნარჩუნდება ერთი წლის მანძილზე. მკურნალობის აღნიშნული მეთოდიკა სრულიად უსაფრთხოა. 10 წუთიანი ინჰალაციის განმავლობაში ექსპერიმენტული ცხოველი ჩაისუნთქავს 37-ბკ/მ³, ხოლო ადამიანი ჩაისუნთქავს მაქსიმუმ 41-ბკ/მ³-ის პროპორციულ რადონის რაოდენობას (ადამიანისთვის ზღვრული ნორმაა 100 ბკ/მ³), ხოლო ინჰალაციიდან 3 საათის შემდეგ ორგანიზმში რადონის არანაირი კვალი არ რჩება (140).

წყალტუბოს წყლის ინჰალაციები უკუნაჩვენებია მწვევლებისთვის, ონკოლოგიური პაციენტებისთვის, ბავშვებისთვის (18 წლამდე) და ხანში შესული (60 წელზე მეტი ასაკის) პირებისთვის (138).

უკანასკნელ წლებში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც უარყოფს რადონოთერაპიით გამოწვეულ დასხივების მცირე დოზების კანცეროგენურ მოქმედებას და პირიქით, მიიჩნევა რომ ამ დოზას ახასიათებს ე.წ. „ჰორმეზისი“, ამიტომ ჩვენი ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენს რადონის ჰორმეზისის მოქმედების მექანიზმის დადგენა (140). რადონს აქვთ ძირითადად α -გამოსხივება, რის გამოც მკურნალობა რადონის წყლებით ეწოდება α -თერაპია (138, 139). წყალტუბოს წყლის უნიკალურობა და რადონის მოქმედების მექანიზმის დადგენა ძალზედ აქტუალურია და მოითხოვს მნიშვნელოვან შესწავლას (140).

თავი III.

კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევა წარიმართა ორ ეტაპად. პირველ ეტაპი მოიცავდა ექსპერიმენტულ კვლევას ვირთაგვებზე, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავდა კლინიკურ კვლევას ადამიანებზე.

ექსპერიმენტი ჩატარდა ვისტარის მამრ ვირთაგვებზე, რომლებიც მოთავსებული იყვნენ სტანდარტული პოლიპროპილენის გალიებში (სამი ვირთაგვა/გალიაში) 12-საათიანი /12-საათიანი სინათლის/სიბნელის ციკლის ქვეშ და გარემოს ტემპერატურაზე 22-25°C. შდტ2 ინდუცირებული იყო Zhang et al-ის 2008 და Liu et al. 2013 მეთოდის მიხედვით. აღნიშნული მეთოდი შერჩეულ იქნა რადგან იძლევა შდტ2-ის პათოგენეზთან ყველაზე მიახლოებულ მოდელს და შდტ2-ის დროს გრელინის შესასწავლად ჩატარებულ კლინიკურ კვლევებში აღნიშნული მოდელი ჩვენამდე არ იყო გამოყენებული.

ცხოველები ორ ჯგუფად დაიყო: საკონტროლო (N=11) და ექსპერიმენტული ჯგუფი (N=33). საკონტროლო ჯგუფში იყვნენ ცხოველები ნორმალური წონით.

საკონტროლო ჯგუფის და ექსპერიმენტული ჯგუფის ვირთაგვები ნორმალური წონით იკვებებოდნენ სტანდარტული საკვებით, რომლის საერთო კალორიული ღირებულება შეადგენდა 20 კჯ/კგ (5% ცხიმი, 52% ნახშირწყლები, 20% ცილა), ხოლო გარკვეულ რაოდენობას ექსპერიმენტულ ჯგუფის ვირთაგვებისა მიეცათ მაღალციხიმიანი კვების რეჟიმი (HFD) ჯამური კვალური ღირებულებით 40 კჯ/კგ (20% ცხიმი, 45% ნახშირწყლები, 22% ცილა). ორივე ჯგუფს გაუგრძელდა აღნიშნული კვების რეჟიმი 8 კვირის განმავლობაში. მეოთხე კვირის დასაწყისში, ცხოველები ექსპერიმენტული ჯგუფიდან დაყოფილ იქნა სამ ქვეჯგუფად წონის მიხედვით, ნორმალური წონის ჯგუფი (I ჯგუფი), ჯგუფი ჭარბი წონით (II ჯგუფი) და სიმსუქნის ჯგუფი (III ჯგუფი). ექსპერიმენტის დასაწყისში ყველა ვირთაგვაში (საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფი) გრელინის დონე შემოწმდა Rat Desacyl Ghrelin (dGhRL) ELISA ნაკრების გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია სენდვიჩის ფერმენტთან დაკავშირებულ იმუნო-სორბენტულ ანალიზის ტექნოლოგიაზე.

ოთხი კვირის განმავლობაში, ექსპერიმენტულ ჯგუფის ვირთაგვებს ჩაუტარდათ ინტრაპერიტონეალური ინექცია (IP) სტრუპტოზოტოცინით (STZ). STZ-ის

მრავალჯერადი დაბალი დოზა (30 მგ/კგ IP ყოველკვირეული ინტერვალით 2 კვირის განმავლობაში) შეყვანილ იქნა თითოეულ ვირთაგვასთან ინტრაპერიტონეალურად, რამაც გამოიწვია ჭეშმარიტი ჰიპერგლიკემია მაღალ ცხიმთან კვებაზე მყოფ ვირთაგვებში ძალიან სწრაფად. მაღალცხიმანობის მქონე კვება STZ-ის მრავალჯერად დაბალი დოზებით (30 მგ/კგ, ორჯერ ინექცია 1 კვირიანი ინტერვალით) ინექციასთან ერთად მიჩნეულ იქნა მაქსიმალურად მიახლოებულად ფიზიოლოგიურ პროცესებთან და საკმარისად შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მოდელის შესაქმნელად.

ექსპერიმენტული ჯგუფის ნორმალური წონის ქვეჯგუფში სტანდარტული კვების რეჟიმი გაგრძელდა STZ-ის მრავალჯერადი დაბალი დოზებით ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ, ორჯერ ინექცია 1 კვირიანი ინტერვალით). სისხლში გლუკოზის დონის განსაზღვრა განხორციელდა გლუკომეტრის საშუალებით (Optium Xceed (Abbott, CSHA)). STZ-ის პირველი ინექციიდან ოთხი კვირის შემდეგ, ყველა ვირთაგვას სისხლში განისაზღვრა უზმოდ გლუკოზის დონე. ვირთაგვები უზმოდ გლუკოზის მაჩვენებლით >14 მმოლ/ლ, მიჩნეულ იქნა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონედ. ნორმალური წონის მქონე ექსპერიმენტული ჯგუფის ვირთაგვებში, რომლებსაც უზმოდ გლუკოზის დონე აღინიშნა >14 მმოლ/ლ-ზე, გაუგრძელდათ სტანდარტული კვება, კვებითი ღირებულებით 20 კჯ/კგ (5% ცხიმი, 52% ნახშირწყლები, 20% ცილა).

ყველა ვირთაგვა თბილისის ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრიდან წაყვანილ იქნა წყალტუბოს სამკურნალო და სარეაბილიტაციო ბალნეოლოგიურ ცენტრში (ბალნეორესორტი წყალტუბო).

ექსპერიმენტულ ჯგუფის ვირთაგვები მოთავსდნენ წყალტუბოს მინერალური წყლის საუნაში, სადაც ჩაუტარდათ რადონის შემცველი წყალტუბოს მინერალური წყლით ინჰალაცია. წყლის ტემპერატურა იყო 36°C , ტენიანობა 90%, რადონის კონცენტრაცია 37 Bq/m^3 .

ცხოველთა საკონტროლო ჯგუფი მოთავსდა იმავე პირობებში, მაგრამ წყალში რადონის კონცენტრაციის გარეშე. არცერთ ცხოველს ექსპერიმენტული ჯგუფიდან ($n=33$) ან საკონტროლო ჯგუფიდან ($n=11$) არ ჰქონია ფიზიკური შეხება მინერალურ წყალთან, ისინი მხოლოდ წყლის ორთქლის ინჰალაციას ექვემდებარებოდნენ. ინჰალაცია ხდებოდა ცხვირით, 7-10 წუთის განმავლობაში, დღეში ერთხელ, მაღალი ტენიანობის პირობებში (დაახლოებით 90%). ექსპერიმენტულ ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში გლიკემიის მაღალი ციფრების გამო, ინჰალაციის დღეების რაოდენობა გა-

იზარდა 10 დღემდე. ინჰალაციის პროცედურის შემდეგ ვირთაგვები მოთავსებულ იქნა ვივარიუმში და გაგუგრძელდათ კვების რეჟიმი უცვლელად და მიეწოდებოდათ წყალი სტანდარტულად. ექსპერიმენტული ჯგუფის და საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვები წყალტუბოდან ჩამოყვანილ იქნა თბილისში, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტულ ბიომედიცინის ცენტრში, სადაც ვირთაგვების სისხლის ანალიზი ჩატარდა ინჰალაციიდან 5 და 10 დღის შემდეგ. გლუკოზის დონე შემოწმებული იყო ელექტროქიმიური მეთოდით, პორტატული გლიკომეტრის გამოყენებით (Optium Xceed (Abbott, CSHA)).

გრელინის დონე შემოწმებული იყო Rat Desacyl Ghrelin (dGHRL) ELISA ნაკრების გამოყენებით.

რაც შეეხება კვლევის მეორე ეტაპს, როგორც უკვე აღინიშნა ის ჩატარდა ადამიანებზე. კვლევაში ჩართულ იქნა 30 პირი საკვლევი ჯგუფიდან შდტ2-ით ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ბაზიდან და 10 ჯანმრთელი მოხალისე საკონტროლო ჯგუფიდან. შესწავლილი იქნა შემდეგი ჯგუფები: 10 ჯანმრთელი საკონტროლო ჯგუფიდან (5 მამაკაცი და 5 ქალი; სხეულის მასის საშუალო ინდექსი (BMI)-22, $7 \pm 0, 4$ კგ/მ²); 10 პაციენტი შდტ2-ით და ნორმალური წონით ან/და ჭარბი წონით (3 კაცი და 7 ქალი; BMI 24, $9 \pm 1, 9$ კგ/მ²); 10 პაციენტი შდტ2-ით და I ხარისხის სიმსუქნით (5 მამაკაცი და 5 ქალი; BMI-32.9 \pm კგ/მ²); და 10 პაციენტი შდტ2-ით და II ხარისხის სიმსუქნით (4 მამაკაცი და 6 ქალი; BMI-36, $9 \pm 1, 8$ კგ/მ²). დიაბეტიან პაციენტებს შორის ყველა იმყოფებოდა დიეტოთერაპიის რეჟიმზე, რეგულარულად ვარჯიშობდა (3 ჯერ კვირაში 1 სთ-ის განმავლობაში) და მედიკამენტოზური მკურნალობის კურსი უტარდებოდათ ორალური ანტიჰიპერგლიკემიური საშუალებებით. ყველა სუბიექტი იყო კლინიკურად სტაბილური შეფასების დროს და არ ჰქონდათ დიაგნოსტირებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელიმე დაავადება ან ფუნქციური დარღვევა, არ აღენიშნებოდათ კახექსიური მდგომარეობა გამოწვეული ავთისებიანი სიმსივნით, ასევე არ აღენიშნებოდათ ფარისებრი ჯირკვლის დაავადება, ღვიძლის დაავადება ან რაიმე ტიპის ინფექციური დაავადება. კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმს წარმოადგენდა თირკმლის დისფუნქცია (eGFr < 90მლ/წთ/1.73მ²) და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე დაავადებები.

პროტოკოლები

სისხლი შეგროვდა დილით, 08:00 საათზე ღამის მშვიერი ინტერვალის შემდეგ. პლაზმაში გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1c) დონე და ლიპიდური ცვლა გაზომილი გაზომილ იქნა BioSystems ABL 80 FLEX, BIO-RAD, HUMAN ანალიზატორის გამოყენებით.

გრელინის დონე შემოწმდა ადამიანის გრელინის ELISA ნაკრების გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია სენდვიჩის ფერმენტთან დაკავშირებულ იმუნო-სორბენტული ანალიზის ტექნოლოგიაზე და რაოდენობრივად განსაზღვრავს ადამიანის გრელინს შრატში და პლაზმაში.

სტატისტიკური ანალიზები

მონაცემთა ჯგუფები შეადარებული იქნა ANOVA ტესტის გამოყენებით. 0.05-ზე ნაკლები P მნიშვნელობა ჩათვლილი იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანად.

თავი IV.

გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები

სტრუქტოზოტოცინით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში

გრელინი არის 28 ამინომჟავის შემცველი პეპტიდი, რომელიც ძირითადად გამოიყოფა კუჭში და ასტიმულირებს მადას და ზრდის ჰორმონის (GH) გამოყოფას. სახელწოდება გრელინი ეფუძნება „ghre“ სიტყვის ფესვს ინდოევროპულ ენებში, რაც ნიშნავს „იზრდება“, GH-ის გამოყოფის სტიმულირების უნარზე მითითებით. 1976 წელს ბაუერსმა და თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ოპიოიდური პეპტიდური წარმოებულები, რომლებიც არ ავლენდნენ რაიმე ოპიოიდურ აქტივობას, მაგრამ ჰქონდათ სუსტი GH-გათავისუფლების აქტივობა და მოიხსენიებდნენ როგორც GH-ს სეკრეტოგოგები (GHS). GHS-ები მოქმედებენ ჰიპოფიზსა და ჰიპოთალამუსზე GH-ის გამოყოფისთვის, არა GH-გათავისუფლების ჰორმონის რეცეპტორის (GHRH-R) მეშვეობით, არამედ რეცეპტორის, GHS-R-ის მეშვეობით. სინთეზური GHS და GHS-R მიუთითებდნენ, რომ უცნობი ენდოგენური ლიგანდი GHS-R-სთვის უნდა არსებობდეს. 1999 წლის დეკემბერში კოჯიმა და სხვ. პირველებმა განაცალკევეს და გამოყვეს გრელინი ვირთაგვის კუჭიდან, როგორც GHS-R-ის ენდოგენური ლიგანდი (30).

მისი სტრუქტურიდან გამომდინარე, ის არის პეპტიდების მოტილინის ოჯახის წარმომადგენელი. პერიფერიულად ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეყვანისას გრელინი ასტიმულირებს ზრდის ჰორმონის სეკრეციას, ზრდის საკვების მიღებას და იწვევს წონის მატებას (125). კუჭის მიერ გამომუშავებული გრელინის დონე იზრდება შიმშილის პერიოდში ან იმ პირობებში, რომლებიც დაკავშირებულია ენერჯის უარყოფით ბალანსთან, როგორცაა შიმშილი ან ანორექსია. ამის საპირისპიროდ, გრელინის დონე დაბალია ჭამის შემდეგ ან ჰიპერგლიკემიის დროს (26,28). არსებობს მზარდი მტკიცებულება, რომ გრელინი თამაშობს ცენტრალურ როლს საკვების მიღებისა და ენერჯის ჰომეოსტაზის ნეიროჰორმონალურ რეგულირებაში(30).

გრელინი შესაძლოა აფერხებდეს ინსულინის გამოყოფას ვირთაგვებში და ადამიანებში. ახლახან დადასტურდა, რომ ჯანმრთელ ადამიანებში გრელინი თრგუნავს ინსულინის სეკრეციას და ზრდის სისხლში გლუკოზას ინტრავენური გლუკოზის ტოლერანტობის ტესტი დროს (GTT). საპირისპიროდ, თაგვებში ჩატარებულმა GTT აჩვენა, რომ ინსულინის პასუხები საგრძნობლად გაძლიერდა და იყო პლაზმური გლუკოზის შემცირება GHS-R ანტაგონისტის ინექციის შემდეგ (40,55).

სისხლის პლაზმაში გრელინის დონე მცირდება ჭამის შემდეგ. გრელინის დონის კვებით გამოწვეული დაქვეითება დარღვეულია სუბიექტებში შდტ 2-ით, რაც ვარაუდობს, რომ მოცირკულირე გრელინის დაქვეითებულმა დათრგუნვამ საკვების მიღების დროს შეიძლება ნაწილობრივ გამოიწვიოს გლუკოზის ცვლის დარღვევა, ასევე წონის მუდმივი მატება (67).

უმეტესობა პუბლიკაციების მიხედვით, რომლებიც ეხება გრელინისა და ინსულინრეზისტენტობას და/ან დიაბეტურ მდგომარეობას შორის კავშირს, შესაძლოა არსებობდეს კორელაცია გრელინსა და ინსულინრეზისტენტობას და/ან შაქრიან დიაბეტს შორის. არსებობს მზარდი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს გრელინის დამთრგუნველ როლზე პანკრეასის კუნძულებიდან ინსულინის სეკრეციაზე. ცოტა ხნის წინ Tong et al.-ის მიხედვით (2010) გამოითქვა ვარაუდი, რომ მოცირკულირე გრელინი თრგუნავს გლუკოზა-მასტიმულირებულ ინსულინის სეკრეციას და არღვევს გლუკოზისადმი ტოლერანტობას ჯანმრთელ სუბიექტებში. მათმა აღმოჩენებმა გაზარდა ვარაუდი, რომ ენდოგენურ გრელინს აქვს როლი ინსულინის ფიზიოლოგიურ სეკრეციაში და რომ გრელინის ანტაგონისტებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ბეტა უჯრედების ფუნქცია (58,67).

ყველა ზემოთხსენებულიდან გამომდინარე ჩატარებული კლინიკური კვლევის მიზანი იყო გრელინის კონცენტრაციის იდენტიფიცირება ექსპერიმენტულ ცხოველებში T2DM და წონის სხვადასხვა ხარისხით, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

აღნიშნული კვლევის დროს გრელინის დონე განსაზღვრულ იქნა ექსპერიმენტის დასაწყისში და სტრუპტოზოტოცინის ინექციების შემდეგ. გლუკოზის დონე გაზომილი იქნა მხოლოდ სტრუპტოზოტოცინის ინექციის შემდეგ.


გრელინის დონე უფრო მაღალი იყო ნორმალური წონის ვირთაგვებში, სიმსუქნის და ჭარბი წონის ვირთაგვებთან შედარებით (ცხრილი N7).

ცხრილი N7. გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სხვადასხვა წონის ნორმოგლიკემიის მქონე ვირთაგვებში და გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში

გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სხვადასხვა წონის ნორმოგლიკემიის მქონე ვირთაგვებში – კონტროლი	
სიმსუქნე	20.25 ± 1.5936
ჭარბი წონა	25.51 ± 0.8905
ნორმალური წონა	31.05 ± 0.9933
საკონტროლო	31.58 ± 0.8471
გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში	
სიმსუქნე	28.05 ± 1.026
ჭარბი წონა	35.33 ± 1.3123
ნორმალური წონა	45.5 ± 1.4636
საკონტროლო	31.58 ± 0.8471

ექსპერიმენტულ ჯგუფში, სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერადი, დაბალი დოზებით ინექციის (30 მგ/კგ - ორჯერ) შემდეგ გრელინის დონე პროპორციულად გაიზარდა სამივე ჯგუფში (ცხრილი N7, დიაგრამა N1).

დიაგრამა N1. გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში



ექსპერიმენტულ ჯგუფში, სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერადი დაბალი დოზებით ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ - ორჯერ) ცხოველთა სამივე ქვეჯგუფში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით (ცხრილი N7) გლუკოზის დონე უფრო მაღალი იყო მსუქან ვირთაგვებში ჭარბწონიანი და ნორმალური წონის ვირთაგვებთან შედარებით.

ცხრილი N8. გლუკოზის დონე ვირთაგვებში სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერადი დაბალი დოზებით ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ – ორჯერ)

	ექსპერიმენტული ჯგუფი – სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერადი, დაბალი დოზებით (30 მგ/კგ – ორჯერ) ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი2	საკონტროლო ჯგუფი
სიმსუქნე	18.84 ± 0.36**	4.93 ± 0.36
ჭარბი წონა	17.84 ± 0.3**	4.93 ± 0.36
ნორმალური წონა	15.65 ± 0.43**	4.93 ± 0.36

ექსპერიმენტის დასაწყისში ვირთაგვებში შდტ2-ის გარეშე, გრელინის დონე უფრო მაღალი იყო ნორმალური წონის მქონე ვირთაგვებში, ვიდრე სიმსუქნით და ჭარბი წონით, თუმცა სტრეპტოზოტოცინის ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ – ორჯერ), გრელინის დონე გაიზარდა პროპორციულად სამივე ჯგუფში.

როგორც რიგი კვლევებიდან ცნობილია, ფიზიოლოგიურ პირობებში გრელინი აფერხებს ინსულინის სეკრეციას. შდტ2-ის დროს ყველა ჯგუფში პროპორციულად იმატებს გრელინის დონე. შესაბამისად, შაქრიანი დიაბეტის დროს გრელინის დონის მატება კიდევ უფრო ამცირებს ენდოგენური ინსულინის სეკრეციას, რაც იწვევს გლუკოზის დონის მატებას და აუარესებს დაავადების გამოსავალს. აღნიშნული კვლევის შედეგი ადასტურებს გრელინის დამთრგუნველ ეფექტს ინსულინის სეკრეციაზე შდტ2-ის დროს.

თავი V.

დაბალი დოზით რადონოთერაპიის ზეგავლენა გრელინის და გლუკოზის დონეზე სტრუქტოზოტოცინით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი2-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში

კვლევის მიზანი იყო სტრუქტოზოტოცინით ინდუცირებული შდტ2-ით ვირ-
თაგვებში არამედიკამენტოზური, გლუკოზის დონეზე მოქმედი ფაქტორის პოვნა.
კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა გლუკოზის დონის ცვლილებაზე გრელინის
რაოდენობრივი ცვლილებების განსაზღვრა.

ბოლო წლებში მსოფლიოში გაჩნდა ინტერესი ბუნებრივი სუბსტრატების
(ტრადიციული მედიცინის) და მათი თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკული
კონტექსტის შესწავლისადმი. ასეთი მეთოდები ხასიათდება ნაკლები გვერდი-
თი მოვლენებით და შესაბამისად, ქრონიკული მოხმარება ნაკლებად საზიანოა
ადამიანისთვის. ამ კატეგორიას მიეკუთვნება საქართველოში წყალტუბოს მინერა-
ლური წყლები.

საქართველოში ფართოდაა ცნობილი წყალტუბოს მინერალური წყალი, რომე-
ლიც დიდი დებეტისაა და ითვლება ქლორიდ-ჰიდროკარბონატულ- სულფატურ-
მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმ შემცველ წყლად. იგი ხასიათდება სტაბილურობით
და დროის მიხედვით არ განიცდის ცვლილებას. წყალტუბოს წყლის რადიოაქტიუ-
რობა დაახლოებით 37 ბკ/მ³-ია, რაც დასაშვებ ზღვარზე მნიშვნელოვნად დაბალია.
წყლის გაზურ ბუშტუკებში რადონის შემცველობა შედარებით მეტია, თუმცა, ესეც
არ სცილდება ადამიანისთვის დასაშვებ ზღვრულ ნორმებს. წყალტუბოს წყალში
ასევე აღმოჩენილია ისეთი მიკროელემენტები, როგორცაა იოდი, ბრომი, მაგნი-
უმი, ლითიუმი, თუთია, სტრონციუმი და სპილენძი. წყალტუბოს წყალი საკმაოდ
ეფექტურად გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელი თერაპიის მიზნით, პერიფერიუ-
ლი სისტემის მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, თავის
ტვინის, კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედების აღდგენითი პროცესების, ბაქტერიული
თუ ვირუსული დაავადებების შემდგომი მდგომარეობების, დეპრესიისა და ქცე-

ვითი დარღვევების შემთხვევებში. დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი წყალტუბოს მინერალური წყლის ეფექტურობა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს (138).

თუმცა რადონის შემცველი წყალტუბოს მინერალური წყალი გამოიყენება ინჰალაციის სახით, რომელიც ხელს უწყობს უჯრედების სწრაფ აღდგენას პანკრეასში, ასევე ააქტიურებს ჰორმონულ ცვლას და წარმართავს ჰორმეზისის პროცესს (139).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის სამკურნალო კურსი ვირთაგვებზე უკვე ჩატარებული კვლევების მიხედვით, მოიცავს ყოველდღიურ 10 წუთიან ინჰალაციებს, 8-12 დღის განმავლობაში. მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი შეიმჩნევა ინჰალაციების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, ხოლო მკურნალობის შედეგად მიღწეული რემისია ნარჩუნდება ერთი წლის მანძილზე. მკურნალობის აღნიშნული მეთოდიკა სრულიად უსაფრთხოა. 10 წუთიანი ინჰალაციის განმავლობაში ექსპერიმენტული ცხოველი ჩაისუნთქავს 37-ბკ/მ^3 , ხოლო ადამიანი ჩაისუნთქავს მაქსიმუმ 41-ბკ/მ^3 -ის პროპორციულ რადონის რაოდენობას (ადამიანისთვის ზღვრული ნორმაა 100 ბკ/მ^3), ხოლო ინჰალაციიდან 3 საათის შემდეგ ორგანიზმში რადონის არანაირი კვალი არ რჩება(140).

წყალტუბოს წყლის ინჰალაციები უკუნაჩვენებია მწვევლებისთვის, ონკოლოგიური პაციენტებისთვის, ბავშვებისთვის (18 წლამდე) და ხანში შესული (60 წელზე მეტი ასაკის) პირებისთვის(138).

უკანასკნელ წლებში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც უარყოფს რადონოთერაპიით გამოწვეულ დასხივების მცირე დოზების კანცეროგენურ მოქმედებას და პირიქით, მიიჩნევა რომ ამ დოზას ახასიათებს ე.წ. „ჰორმეზისი“, ამიტომ ჩვენი ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენს რადონის ჰორმეზისის მოქმედების მექანიზმის დადგენა (140). რადონს აქვთ ძირითადად α -გამოსხივება, რის გამოც მკურნალობა რადონის წყლებით ეწოდება α -თერაპია(138,139).

ექსპერიმენტის დასაწყისში გრელინის დონე უფრო მაღალი იყო ნორმალური წონის ვირთაგვებში სიმსუქნითა და ჭარბი წონის მქონე ვირთაგვებთან შედარებით (დიაგრამა N2, ცხრილი N9). ექსპერიმენტულ ჯგუფში, სტრეპტოზოტოცინის ინექციის მრავალჯერადი დაბალი დოზების (30 მგ/კგ – ორჯერ) შემდეგ გრელინის დონე პროპორციულად გაიზარდა სამივე ჯგუფში (დიაგრამა N1, ცხრილი N9).

ცხრილი N9. რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გრელინის დონეზე (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში


გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სხვადასხვა წონის ნორმოგლიკემიის მქონე ვირთაგვებში		
III ჯგუფი (სიმსუქნე)	II ჯგუფი (ჭარბი წონა)	I ჯგუფი (ნორმალური წონა)
20.25 ± 1.59	25.51 ± 0.89	31.05 ± 0.99
P<0, 001	P<0, 001	P<0, 001

გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში		
III ჯგუფი (სიმსუქნე)	II ჯგუფი (ჭარბი წონა)	I ჯგუფი (ნორმალური წონა)
28.05 ± 1.03	35.33 ± 1.31	45.5 ± 1.46
P<0, 001	P<0, 001	P<0, 001

რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გრელინის დონეზე (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში		
III ჯგუფი (სიმსუქნე)	II ჯგუფი (ჭარბი წონა)	I ჯგუფი (ნორმალური წონა)
31.24 ± 1.14	30.69 ± 0.87	30.88 ± 0.75

გასაკვირია, რომ წყალტუბოს მინერალური წყლით რადონის ინჰალაციური თერაპიის შემდეგ, გრელინის დონის ნორმალიზება დაფიქსირდა ყველა ქვეჯგუფში და სხეულის განსხვავებული წონის მიუხედავად, დონეები იყო დაახლოებით იგივე და ძალიან ახლოს საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებთან (დიაგრამა N2).

დიაგრამა N2. რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გრელინის დონეზე (ნგ/მლ) სტრეპტოზოტოცინის დაბალი, მრავალჯერადი დოზით ინდუცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ვირთაგვებში




ექსპერიმენტულ ჯგუფში, სტრეპტოზოტოცინის მრავალჯერადი, დაბალი დოზებით ინექციის შემდეგ (30 მგ/კგ – ორჯერ) გლუკოზის დონე უფრო მაღალი იყო მსუქან ვირთაგვებში ჭარბწონიან და ნორმალური წონის მქონე ვირთაგვებთან შედარებით. გლუკოზის დონე გაკონტროლდა რადონით ინჰალაციის მე-5-ე და მე-10-ე დღეს (ცხრილი N9). ექსპერიმენტულ ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში გლუკოზის დონე შემცირდა როგორც, რადონის ინჰალაციიდან 5 დღის შემდეგ ასევე რადონის ინჰალაციიდან 10 დღის შემდეგაც (დიაგრამა N3).

ცხრილი N10. რადონის ინჰალაციის ზემოქმედება გლუკოზის დონეზე

	რადონის ინჰალაციამდე	რადონით ინჰალაცია V დღე	რადონით ინჰალაცია X დღე	საკონტროლო ჯგუფი
ჯგუფი III (სიმსუქნე)	18.84 ± 0.36**	16.32 ± 0.65**	11.4 ± 0.73**	4.93 ± 0.36
ჯგუფი II (ჭარბი წონა)	17.84 ± 0.3**	15.72 ± 0.9**	9.76 ± 0.83**	4.93 ± 0.36
ჯგუფი I (ნორმალური წონა)	15.65 ± 0.43**	14.34 ± 0.61**	9.53 ± 0.62**	4.93 ± 0.36

** P<0, 001

დიაგრამა N3. გლუკოზის დონის ცვლილება რადონით ინჰალაციამდე და ინალაციიდან 10 დღეში



ექსპერიმენტული ჯგუფის ვირთაგვებთან სისხლში გლუკოზის დონე გაკონტროლდა 5 და 10 დღიანი ინჰალაციის შემდეგ არამედ ინჰალაციიდან 3 თვის შემდეგაც, რამაც აჩვენა გლუკოზის სტაბილურად დაქვეითებული დონე.

წყალტუბოს მინერალური წყლის რადონით ინჰალაციის თერაპიის შემდეგ, გრელინის დონის ნორმალიზება დაფიქსირდა ექსპერიმენტულ ქვეჯგუფის ყველა ქვეჯგუფში მიუხედავად განსხვავებული წონისა და თითქმის უტოლდებოდა საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების მაჩვენებლებს. ექსპერიმენტულ ჯგუფში გრელინის დონის ნორმალიზებას თან ახლდა გლიკემიის ნორმალიზება (სურათი N3).

შდტ2 წარმოადგენს მულტიფაქტორულ მეტაბოლურ დაავადებას, რომელიც გამოწვეულია როგორც გენეტიკური, ასევე არაგენეტიკური გარემო ფაქტორებით. დღესდღეობით ცნობილია, რომ დაავადების პათოგენეზი მოიცავს არა მხოლოდ პანკრეასის ბეტა უჯრედების მიერ ინსულინის სეკრეციის შემცირებას, არამედ მთელ რიგ მეტაბოლურ დარღვევებს. შდტ2-ის მქონე პირებში ძალზედ მნიშვნელოვანია სიმსუქნით გამოწვეული ლიპოტოქსიურობის აღმოფხვრა, რაც უპირველეს ყოვლისა მიიღწევა წონის კლებით, მოგვიანებით კი ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დიაბეტის შედეგს და ხელს უწყობს შდტ2-თან დაკავშირებული სხვადასხვა გართულებების თავიდან აცილებას.

მისი ორექსიგენური, ადიპოგენური და დიაბეტური მოქმედების გამო, გრელინი გახდა მიმზიდველი სამიზნე სიმსუქნისა და შდტ2-ის სამკურნალოდ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შდტ2-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში გრელინის რაოდენობრივი ცვლილების დადგენა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით და წყალტუბოს მინერალური წყლის გამოყენებით რადონის ბალნეოთერაპიის ეფექტის შესწავლა გრელინისა და გლუკოზის მეტაბოლიზმზე. ექსპერიმენტის დასაწყისში, სუბიექტებში შდტ2-ის გარეშე გრელინის დონე უფრო მაღალი იყო ნორმალური წონის შემთხვევაში, სიმსუქნესა და ჭარბ წონასთან შედარებით. სტრუპტოზოტოცინის მრავალჯერადი, დაბალი დოზებით ინექციის (30 მგ/კგ-ორჯერ) შემდეგ გრელინის დონე პროპორციულად გაიზარდა ყველა ქვეჯგუფში. ბოლო პერიოდში ჩატარებული რიგი კვლევებიდან ცნობილია, რომ გრელინი აფერხებს ინსულინის სეკრეციას და იმ სიტუაციაში, როდესაც შდტ2-ის დროს ისედაც დაქვეითებულია ორგანიზმის მგრძობელობა ინსულინისადმი ანუ ადგილი აქვს ინსულინრეზისტენტობას, გრელინის დონე იზრდება საკონტროლო ჯგუფთან

შედარებით თუმცა უკუპროპორციულია წონასთან მიმართებაში. შდტ2-ის დროს ექსპერიმენტულ ცხოველებში გრელინის გაზრდილი დონე სავარაუდოდ ამცირებს ენდოგენური ინსულინის ეფექტურობას, რაც კვლევით დადასტურდა, ექსპერიმენტულ ჯგუფში გრელინის დონის მატებას თან ახლდა გლუკოზის დონის მომატება. წყალტუბოს მინერალური წყლის რადონით ინჰალაციის შემდეგ, სისხლში გლუკოზის დონის ნორმალიზაციას თან ახლდა გრელინის დონის ნორმალიზება რომელიც გაუთანაბრდა საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელს და აღსანიშნავია, რომ გლუკოზის დაქვეითებული დონე შენარჩუნდა რადონით ინჰალაციური თერაპიის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში.

ამრიგად, კვლევის მიხედვით შდტ2-ის და სიმსუქნის დროს, ირღვევა გრელინის ნორმალური სეკრეცია, რაც სავარაუდოდ თავის მხრივ თრგუნავს ენდოგენურ ინსულინის ეფექტურობას, უარყოფითად მოქმედებს გლუკოზის მეტაბოლიზმზე და ხელს უწყობს ჰიპერგლიკემიის განვითარებას. რადონოთერაპიის შემდეგ ექსპერიმენტულ ცხოველებში შდტ2-ით გრელინის დონის გათანაბრება ყველა ქვეჯგუფში საკონტროლო ჯგუფის გრელინის დონის მაჩვენებლებთან, რასაც თან ახლდა ჰიპერგლიკემიის შესამჩნევი დაქვეითება გვაფიქრებინებს, არა მხოლოდ გრელინის მნიშვნელოვან როლზე შდტ2-ის პათოგენეზში, არამედ აქტუალურს ხდის განხილულ იქნას წყალტუბოს მინერალური წყალი, როგორც პოტენციური დამხმარე სამკურნალო საშუალება შდტ2-ისა და სიმსუქნის დროს.

აღნიშნული კვლევის შედეგები გვამღევეს სტიმულს, გავაგრძელოთ მომავალი კვლევები, რათა შევისწავლოთ უფრო სპეციფიკური ნეიროქიმიური მექანიზმები, რომლებიც მონაწილეობენ რადონოთერაპიის პროცესებში და დადებითად მოქმედებს შდტ2-ის დროს გლუკოზისა და გრელინის დონეზე და შესაბამისად შდტ2-ის გამოსავალზე.

თავი VI.

გრელინის რაოდენობრივი ცვლილებები ადამიანებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და სიმსუქნით

რიგი კვლევების მიხედვით უზომოდ გრელინის დონის მატებას ადგილი აქვს ნაწლავის L-უჯრედებში, რათა მოხდეს საკვები ნივთიერებებით გამოწვეული GLP-1 სეკრეციის გაძლიერების სტიმულირება (40). გრელინით გამოწვეული GLP-1 სეკრეციის ზრდა აუმჯობესებს გლუკოზისადმი ტოლერანტობას თავგებში (110). აღნიშნული კვლევების მიხედვით, კვებით გამოწვეული GLP-1-ის დონის ზრდამ შესაძლოა შეამსუბუქოს გრელინის პოსტპრანდიალური მოქმედება პანკრეასის β -უჯრედებიდან ინსულინის სეკრეციის დათრგუნვაზე. უფრო ფართოდ, ეს კვლევები ვარაუდობენ, რომ გრელინის სისტემის მთლიანი ეფექტი გლუკოზის შემდგომი ცვლაზე განისაზღვრება რამდენიმე პოტენციური ფაქტორის კომპლექსური ურთიერთქმედებით, მათ შორის გრელინი და GLP-1, რომლებსაც აქვთ საპირისპირო მოქმედებები ინსულინის სეკრეციაზე, საკვების მიღებასა და კუჭის დაცლაზე (120).

დღეისათვის ასევე არსებობს ვარაუდი, რომ გრელინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თეთრ ცხიმოვან ქსოვილში (WAT) ლიპიდების დაგროვების რეგულირებაში. მიუხედავად იმისა, რომ გრელინის ექსპრესია იწვევს GH-ს სეკრეციას, გრელინის გახანგრძლივებული ზემოქმედების ეფექტი არის ცხიმის მასის გაზრდა. ცნობილია, რომ გრელინი აძლიერებს ადიპოგენეზს, ზრდის ცხიმის შემნახველი ფერმენტების აქტივობას, ზრდის ტრიგლიცერიდების შემცველობას და ამცირებს ცხიმების უტილიზაციას/ლიპოლიზს (121,122,123).

მტკიცებულებამ აჩვენა, რომ პერიფერიული გრელინის შეყვანა ზრდის თეთრი ცხიმოვანი ქსოვილის მასას სელექციური მუცლის - რეტროპერიტონეალური და ინგუინალური ლიპიდების ექსპორტის შემცირების გზით, ვიდრე თვით ლიპოლიზის შემცირებით. ამრიგად, ენერგეტიკული უკმარისობის პერიოდში გრელინი შესაძლოა ხელი შეუშალოს ლიპიდების დაკარგვას რეაქტიული ადიპოციტებიდან, რითაც დაუშვას დეპოს სპეციფიკური ენერჯის მარაგების გამოყენება. ასევე დადგინდა, რომ გრელინით გამოწვეული ლიპიდების დაგროვება არ არის

სპეციფიკური თეთრი ცხიმოვანი ქსოვილისთვის, რადგან ეგზოგენური გრელინი საგრძნობლად ზრდიდა ლიპიდური წვეთების რაოდენობას ვირთაგვების ღვიძლში, რაც განპირობებული იყო ჰეპატოციტებზე მისი რეცეპტორის პირდაპირი გააქტიურებით, ხოლო გრელინის რეცეპტორების ანტაგონისტები ან გენის დელეცია მნიშვნელოვნად ამცირებს სიმსუქნესთან ასოცირებულ ღვიძლის სტეატოზს და ნოვო ლიპოგენეზის დათრგუნვით (123,124).


ვინაიდან ცხოველურ მოდელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა საინტერესო შედეგები და დაადასტურა გრელინის დონის ცვლილების ზეგავლენა მეტაბოლური პროცესების დროს, შდტ2-ით და სიმსუქნის სხვადასხვა ხარისხით დაავადებულ პაციენტებში გრელინის დონის განსაზღვრა და მისი კორელაციური კავშირების შესწავლა რამდენიმე მეტაბოლურ პარამეტრთან, მიჩნეულ იქნა კლინიკურად მნიშვნელოვანად. აგრეთვე ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა გამოგვეკვლია პირველ ეტაპზე ვირთაგვებში მიღებული შედეგების მსგავსება და განსხვავებები ადამიანებში მიღებულ შედეგებთან.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შდტ2-ის და სიმსუქნის მქონე ადამიანებში პლაზმური გრელინის კონცენტრაციის განსაზღვრა და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირის გამოკვლევა პლაზმაში გრელინის დონესა და ისეთ მნიშვნელოვან მეტაბოლურ ფაქტორებს შორის როგორცაა ლიპიდური ცვლა, HbA1c და სხეულის მასის ინდექსი (სმი).

შედეგები

კვლევის შედეგად დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაციური კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და სმი-ს შორის (დიაგრამა N4).


დიაგრამა N4. კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და BMI-ს შორის



საკვლევ ჯგუფში ჯგუფში გრელინის დონის შემცირებას თან ახლდა სხეულის მასის ინდექსის მატება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.


სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა საკვლევ ჯგუფში გრელინის დონესა და HbA1c-ს შორის (ცხრილი 2.). HbA1c-ის დონის მატებას თან ახლდა პლაზმაში გრელინის კონცენტრაციის შემცირება. მაგრამ, გასაკვირია, რომ ნორმალური წონის ან ჭარბი წონის მქონე პაციენტებში შდტ2-ით, გრელინის დონე უფრო მაღალი იყო საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (დიაგრამა N5).

დიაგრამა N5. კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და HbA1c-ის შორის




შდტ2-ით დაავადებულთა ყველა ქვეჯგუფში გრელინის დონის შემცირებას თან ახლდა საერთო ქოლესტერინის დონის მატება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (დიაგრამა N6).

დიაგრამა N6. კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და საერთო ქოლესტერინის დონის შორის



სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია აღმოჩნდა გრელინის დონესა და HDL დონეებს შორის დიაბეტით დაავადებულთა ყველა ქვეჯგუფში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (დიაგრამა N7).

დიაგრამა N7. კავშირი პლაზმაში გრელინის დონესა და HDL დონეს შორის



კვლევამ აჩვენა, რომ პლაზმაში გრელინის კონცენტრაცია დაბალი იყო შდტ2-ისა და სიმსუქნის მქონე პაციენტებში ნორმალური წონის საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ უზმოდ პლაზმური გრელინის დონის ცვლილება ექსპერიმენტული ჯგუფის პირებში კორელაციაშია HbA1c-ის პროცენტულ და უზმოდ საერთო ქოლესტერინის მაჩვენებლების ცვლილებასთან. ასევე დადგინდა, რომ უზმოზე პლაზმური გრელინის კონცენტრაცია საკვლევი ჯგუფის პირებში სტატისტიკურად სარწმუნო კორელაციაშია სხეულის მასის ინდექსთან. რადგან უკვე არსებული ექსპერიმენტული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით არსებობს ვარაუდი, რომ ინსულინი შესაძლოა გლუკოზის დონისგან დამოუკიდებლად მოქმედებს პლაზმაში გრელინის სეკრეციაზე და რადგან შდტ2-ის და სიმსუქნის დროს შეინიშნება ჰიპერინსულინემია, სწორედ ეს არის სავარაუდო მიზეზი უზმოდ გრელინის დონის შემცირების საკვლევი ჯგუფში. თუმცა ჯერ კიდევ აქტუალურია და საჭიროებს დამატებით რიგ კვლევებს ზუსტი მექანიზმის დასადგენად, რომელითაც ინსულინის მოქმედება გრელინის დონეზე და ასევე შესასწავლია არის თუ არა გრელინის მასინთეზირებელ უჯრედებზე ინ-

სულინის რეცეპტორი, რომლის მეშვეობითაც ინსულინს აქვს უნარი ზეგავლენა მოახდინოს გრელინის სეკრეციაზე.

შდტ2-ის დროს ინკრეტინების დონე, გლუკაგონის მსგავსი პეპტიდი-1 (GLP-1) და გლუკოზადამოკიდებული ინსულინოტროპული პოლიპეპტიდი (GIP) ხშირად დაქვეითებულია. შდტ2-ის დროს გრელინის შემცირებული კონცენტრაცია საკვლევ ჯგუფში შეიძლება დაკავშირებული იყოს GLP-1-ის დაქვეითებულ დონესთან, რადგან რამდენიმე ექსპერიმენტული კვლევით კვლევის მიხედვით მღრღნელებში პლაზმაში უზმოდ გრელინის ზრდა ასტიმულირებს GLP-1 სეკრეციას.

ვირთავებზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების თანახმად, გრელინი შესაძლოა ასევე მონაწილეობდეს თეთრ ცხიმოვან ქსოვილში ადიპოგენეზსა და ლიპოლიზში. გრელინის უარყოფითი კორელაციის აღმოჩენა საერთო ქოლესტერინის დონესთან და გრელინის დადებითი კორელაცია HDL-თან იძლევა სტიმულს მომავალი კვლევების გასაგრძელებლად გრელინისა და ლიპიდების მეტაბოლიზმს შორის უფრო სპეციფიკური ბიოქიმიური მექანიზმების დასადგენად.

აღნიშნულ კვლევის დროს სისხლში ზრდის ჰორმონის (GH) დონე არ იყო გამოკვლეული, მაგრამ ბაზალური გრელინის კონცენტრაცია სავარაუდოდ კორელაციაშია ზრდის ჰორმონის დონესთან.

ზემოთხსენებული კლინიკური კვლევის შედეგად დადგინდა შდტ2-ით და სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში კორელაციური კავშირი გრელინისა და გლუკოზის დონეს შორის კერძოდ გრელინის დონე იკლებდა ჰიპერგლიკემიის მატებასთან ერთად.

გრელინი სავარაუდოდ მონაწილეობს ბევრ ფიზიოლოგიურ პროცესში და რეგულირდება რამდენიმე ფაქტორით. გრელინის რეგულირების მექანიზმების გაგება მომავალში უზრუნველყოფს გრელინის, გრელინის მიმეტიკების, ინვერსიული აგონისტებისა და გრელინის ანტაგონისტების უკეთეს თერაპიულ სარგებელს. ერთად აღებული, ეს შედეგები მიუთითებს, რომ შესაძლოა არსებობდეს სისტემა გრელინის წარმომქმნელ უჯრედებში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეტაბოლურ ცვლილებებზე შდტ2-ის და სიმსუქნის დროს.

თავი VIII.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ზემოთხსენებული კვლევა პირველ რიგში მიზნად ისახავდა შექმნილიყო შდტ2-თან მაქსიმალურად მიახლოებული ექსპერიმენტული მოდელი, რომელშიც განისაზღვრებოდა გლუკოზის დონის ცვლილებასთან მიმართებაში გრელინის დონის ცვლილება. ჩვენთვის საინტერესო იყო გვეჩვენა რამდენად იცვლებოდა გრელინის დონე შდტ2-ის დროს ჯანმრთელ პოპულაციასთან შედარებით და გლუკოზის დონის ცვლილება რა გავლენას ახდენდა გრელინის დონეზე. სწორედ ამ მიზნით შეირჩა მცირე დოზებით რადონოთერაპია, რომელიც მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ წყალტუბოში, ბუნებრივ მინერალურ წყლებში.

ჩატარებული ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევებით დადასტურებული გრელინის ორექსიგენური, შესაძლო ადიპოგენური და დიაბეტური მოქმედების გამო, გრელინი წარმოადგენს მიმზიდველ სამიზნეს სიმსუქნისა და შდტ2-ის სამკურნალოდ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შდტ2-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში გრელინის დონის განსაზღვრა და წყალტუბოს ბუნებრივი თერმული წყლების გამოყენებით, დაბალი დოზით რადონოთერაპიის გავლენის შესწავლა გრელინისა და გლუკოზის მეტაბოლიზმზე.

კვლევის დასაწყისში, ექსპერიმენტული ცხოველების ჯგუფში შდტ2-ის ინდუცირებამდე, გრელინის დონე უფრო მაღალი იყო ნორმალური წონის ვირთაგვებში, სიმსუქნისა და ჭარბ წონის მქონე ვირთაგვებთან შედარებით. შესაბამისად, ჩვენი კვლევის პირველ ეტაპზე განმტკიცდა მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ გრელინის დონე იკლებს სიმსუქნის დროს, თუმცა საინტერესო ზრდის დინამიკა დაფიქსირდა STZ-ით შდტ2-ის ინდუცირების შემდეგ. ნორმალური წონის ვირთაგვებში შდტ2-ის ინდუცირების შემდეგ, გრელინის დონემ გადააჭარბა საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების მაჩვენებელს, ხოლო ჭარბი წონის და სიმსუქნის მქონე ვირთაგვებში შდტ2-ის ინდუცირების შემდეგ, გრელინის დონე დაქვეითდა საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებთან შედარებით, მაგრამ აღემატებოდა სიმსუქნის დროს დაფიქსირებულ მაჩვენებელს. აღნიშნული მატება შესაძლოა იყოს კომპენ-

სატორული, განვითარებული STZ-ით შდტ2-ის ინდუცირების შემდეგ, რომელიც კიდევ ერთხელ სძენს უდიდეს აქტუალობას გამოკვლეულ იქნას გრელინის კონკრეტული მოქმედების მექანიზმი, რომლითაც ის გავლენას ახდენს ნახშირწყლოვან ცვლაზე.

წყალტუბოს მინერალური წყლში არსებული რადონით ინჰალაციის შემდეგ, სისხლში გლუკოზის დონის ნორმალიზაციას თან ახლდა გრელინის დონის ნორმალიზება. გრელინის დონე ექსპერიმენტულ ჯგუფში რადონოთერაპიის შემდეგ გაუთანაბრდა საკოტროლო ჯგუფის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ გლუკოზის დაქვეითებული დონე შენარჩუნდა 3 თვის განმავლობაში. გრელინის დონის განსაზღვრა ვირთაგვებში 3 თვის შემდეგ არ განხორციელებულა.

აღნიშნული კვლევის შედეგები გვაძლევს სტიმულს, გავაგრძელოთ კვლევები სიმსუქნისა და შდტ2-ის პათოგენეზში გრელინის როლის შესასწავლად. მნიშვნელოვანია განისაზღვროს სპეციფიკური მექანიზმები, რომლებიც მონაწილეობენ რადონით ინჰალაციის პროცესებში და დადებითად მოქმედებენ შდტ2-ის დროს გლუკოზისა და გრელინის დონეზე, შესაბამისად შდტ2-ის გამოსავალზე.

ამრიგად, მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ წყალტუბოს მინერალური წყალი პოტენციურ, დამხმარე სამკურნალო საშუალებად შდტ2-ით დაავადებული სუბიექტებისთვის და აღნიშნულის დასადასტურებლად გაგრძელდეს სამეცნიერო კვლევები.

ჩვენ მიერ ადამიანებზე ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ შდტ2-ისა და სიმსუქნის მქონე პაციენტებში სისხლში გრელინის კონცენტრაცია მცირდება სხეულის მასის ინდექსის მატების უკუპროპორციულად.

ადამიანებზე ჩვენ მიერ ჩატარებული კლინიკური კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ უზმოდ პლაზმური გრელინის დონის ცვლილება ექსპერიმენტული ჯგუფის პირებში კორელაციაშია HbA1c-ის პროცენტულ და უზმოდ საერთო ქოლესტერინის მაჩვენებლების ცვლილებასთან. ასევე დადგინდა, რომ უზმოდ პლაზმური გრელინის კონცენტრაცია საკვლევი ჯგუფის პირებში სტატისტიკურად სარწმუნო კორელაციაშია სხეულის მასის ინდექსთან. უკვე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით არსებობს ვარაუდი, რომ ინსულინი შესაძლოა გლუკოზის დონისგან დამოუკიდებლად მოქმედებს პლაზმაში გრელინის სეკრეციაზე და რადგან შდტ2-ის და სიმსუქნის დროს შეინიშნება ჰიპერინსულინემია, სწორედ ეს არის სავარაუდო მიზეზი უზმოდ გრე-

ლინის დონის შემცირების საკვლევ ჯგუფში. თუმცა ჯერ კიდევ აქტუალურია და საჭიროებს დამატებით რიგ კვლევებს ზუსტი მექანიზმის დასადგენად, რომლითაც გაირკვევა მოქმედებს თუ არა გრელინი ინსულინის სეკრეციაზე ან პირიქით და ასევე შესასწავლია არის თუ არა გრელინის მასინთეზირებელ უჯრედებზე ინსულინის რეცეპტორი, თუ ზემოთხსენებული პროცესები მიმდინარეობს მხოლოდ პანკრეასისი β უჯრედზე აღმოჩენილი გრელინის რეცეპტორების საშუალებით.

შდტ2-ის დროს ინკრეტინების დონე, კერძოდ, გლუკაგონის მსგავსი პეპტიდი-1 (GLP-1) და გლუკოზადამოკიდებული ინსულინოტროპული პოლიპეპტიდი (GIP) ხშირად დაქვეითებულია. შდტ2-ის დროს გრელინის შემცირებული კონცენტრაცია საკვლევ ჯგუფში შეიძლება დაკავშირებული იყოს GLP-1-ის დაქვეითებულ დონესთან, რადგან რამდენიმე ექსპერიმენტული კვლევის მიხედვით მდრღნელებში გრელინის პრეპრანდიალური ზრდა ასტიმულირებს GLP-1 სეკრეციას.

ვირთაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების თანახმად, გრელინი შესაძლოა ასევე მონაწილეობდეს თეთრ ცხიმოვან ქსოვილში ადიპოგენეზსა და ლიპოლიზში. გრელინის უარყოფითი კორელაციის აღმოჩენა საერთო ქოლესტერინის დონესთან და გრელინის დადებითი კორელაცია HDL-თან აქტუალურს ხდის დამატებითი კვლევების ჩატარებას გრელინისა და ლიპიდების მეტაბოლიზმს შორის უფრო სპეციფიკური ბიოქიმიური მექანიზმების დასადგენად.

განსხვავებით ადამიანებზე ჩატარებული კვლევისა, ექსპერიმენტულ ცხოველებში STZ-ით შდტ2 -ის ინდუცირების შემდეგ დაფიქსირდა გრელინის დონის მატება ყველა ქვეჯგუფში, თუმცა საინტერესოა, რომ ნორმალურ წონისა და ჭარბი წონის მქონე ვირთაგვებში გრელინის დონე უფრო მაღალი იყო საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო სიმსუქნის მქონე ვირთაგვების ქვეჯგუფში გრელინის დონე დაბალი იყო საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებთან შედარებით. ისევე როგორც ადამიანებში, ვირთაგვებშიც გრელინის დონე იცვლებოდა სხეულის მასის ინდექსის უკუპროპორციულად. STZ-ით შდტ2-ის ინდუცირების შემდეგ გრელინის დონის მატება, სავარაუდოდ არის კომპენსატორული სწრაფად განვითარებული ჰიპერგლიკემიის საპასუხოდ ან პანკრეასის ბეტა უჯრედის აპოპტოზის შედეგად ინსულინის დონის დაქვეითების საპასუხოდ.

ამრიგად, ზემოთხსენებული კლინიკური კვლევის შედეგად დადასტურდა გრელინის დონის კლება სიმსუქნის და ჭარბი წონის დროს და მისი კონცენტრაციის მატება STZ-ით ინდუცირებულ შდტ2-ის მქონე ექსპერიმენტულ მოდელებში.

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ წყალტუბოს მინერალური წყლებით რადონოთერაპიის დადებითი გავლენა როგორც გლიკემიის, ასევე გრელინის დონეზე ექსპერიმენტული ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში და საინტერესოს ხდის მცირე დოზებით რადონოთერაპიის აღნიშნული ეფექტის მექანიზმის დეტალურ შესწავლას.

შდტ2-ით დაავადებულ ადამიანებში კორელაციური კავშირების დადგენა გრელინის სეკრეციის ცვლილებებსა და შდტ2-ის დროს ისეთ მნიშვნელოვან მეტაბოლურ მარკერებს შორის როგორცაა: სართო ქოლესტერინის დონე, გლიკოზირებული ჰემოგლობინის მაჩვენებელი, სხეულის მასის ინდექსი და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის მაჩვენებელი აქტუალურს ხდის გაგრძელდეს კვლევები აღნიშნული კუთხით.

ჩვენ მიერ გრელინის კვლევისათვის ექსპერიმენტულ მოდელში პირველად იქნა გამოყენებული მოდელის ისეთი მოდიფიკაცია რომელიც თავის თავში აერთიანებს სპეციფიკურ დიეტას და სტრუბტოზოტოცინის მრავალჯერად ინექციას. ასეთი მოდელის უპირატესობა გრელინის კვლევის სხვა დიაბეტურ მოდელებთან შედარებით დადასტურდა განსხვავებული მონაცემების მიღებით ქვეჯგუფებში და აგრეთვე მსგავსი შედეგების მიღებამ შდტ2-ით დაავადებულ ადამიანებში.

შდტ2-ით დაავადებულ ადამიანებში მიღებული შედეგების იდენტურობა ექსპერიმენტულ ცხოველებში მიღებული შედეგებისა, განსხვავდება სხვა ავტორთა მონაცემებისაგან, ამასთანავე, ჩვენი ექსპერიმენტული შედეგების მართებულობა დასტურდება რიგი კლინიკური კვლევებითაც.

ჩატარებული კვლევას აქვს პრაქტიკული ღირებულება, რადგან დადგინდა ენდოგენური გრელინის რაოდენობრივი მაჩვენებლების კორელაცია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს არსებულ მეტაბოლურ დარღვევებთან, რაც საშუალებას იძლევა გრელინი განვიხილოთ, როგორც პერსპექტიული, არაინვაზიური მარკერი შაქრიანი დიაბეტის პროგნოზის შესაფასებლად და მნიშვნელოვან სამიზნედ შდტ2-ის მკურნალობის პროცესში.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალტუბოს მინერალური წყალში არსებული რადონით ინჰალაციურმა თერაპიამ შდტ2-ით ექსპერიმენტულ ცხოველებში აჩვენა საკმაოდ ძლიერი ანტიჰიპერგლიკემიური ეფექტი და გრელინის დონის ნორმალიზება. შესაბამისად აღნიშნული ბუნებრივი რესური შესაძლოა განხილულ იქნას როგორც დამხმარე საშუალება შდტ2-ს მკურნალობის პროცესში.

თავი VIII.

დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები

- კვლევის შედეგად, როგორც ექსპერიმენტულ ცხოველებში, ასევე ადამიანებში შდტ2-ით დადასტურდა გრელინის დონის კლება სიმსუქნის და ჭარბი წონის დროს. ექსპერიმენტულ ცხოველებში STZ-ის დაბალი, ორჯერადი დოზით (30 მგ/კგ- ორჯერ) შდტ 2 -ის ინდუცირების შემდეგ საკვლევი ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში დაფიქსირდა გრელინის კონცენტრაციის მატება
- კვლევის შედეგად დადგინდა გრელინის უარყოფითი კორელაციური კავშირი ჰიპერგლიკემიის დონესთან STZ-ის დაბალი, ორჯერადი დოზით ინდუცირებული (30 მგ/კგ- ორჯერ) შდტ2-ით ექსპერიმენტულ ცხოველებში.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა წყალტუბოს მინერალური წყლებით რადონოთერაპიის დადებითი გავლენა გლიკემიის და გრელინის დონეზე ექსპერიმენტული ჯგუფის ყველა ქვეჯგუფში.
